


1026

1998



# ԿԱՌԵՄԱՅՈՒ

II



საკართველოს მთხოვანებათა აკადემია  
ინიციატია აღორძინების უწყებ „ინიციატივი“  
არქიტონიკის კულტურის ცენტრი



# କୃତ୍ସନ୍ଧାର

**ეპლვენება ქალაქ რუსთავის აღორძინების  
50 წლისთავს**

આપણાની જીવનાં જીવનાં

מגנסיה

კრებულში გრძელდება შეა საუკუნეოა საქართველოს ქრისტიანული უძველესი ქადაქის – კუხოის რესთავის არქეოლოგიური შესწავლის შედეგების გამოქვეყნება. წინამდებარებული ნაშრომში შეტანილია რესთავის ციხეზე 1961-74 წწ. სამხრეთ და დასავლეთ უბნებზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის კრცელი ანგარიშები. კრებულში წარმოდგენილია საფორტიფიკაცია სასამასის მეცნიერი და მასწვევ მიღებული ნაშროვანობა დახასიათება-ანალიზი. პირველად ქვეყნდება აღნიშნულ წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის დიდი უძრავლესობა და მათი კვლევის შედეგები.

კრებული უხვადა იღუსტრისტებული, იგი გამიზნულია როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო მკითხველთა საზოგადოებისაოვის.

## 0660156 რ

რედაქტორი: ისტ. მეცნ. კანდიდატი გ. ჩიბრიძე

რეცეზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატი ბ. ჯორბეგავა

ისტ. მეცნ. კანდიდატი პ. ამირაცაშვილი

0660156 26 02

ცინამდებარე და მოძველეო პრეზენტაცი გამოიხვა  
რესტავრის მიზის შინასერი მხარდაჭირი

კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების მორიგი - მეორე ტომი ეძღვნება რუსთავის ციხის არქეოლოგიური შესწავლის შედეგებს.

კრებულში - „რუსთავი II“ იბეჭდება რუსთავის ციხის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში გათხრილი სასიმაგრო ნაგებობებისა და ნამოსახლარების შესწავლის მეცნიერული ანგარიშები, რომლებიც ქვეყნდება პირველად და უცვლელად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მოსაზრება შემდგომში დაზუსტდა ან შეიცვალა.

მ. ჩხატარაშვილის ნაშრომში თავმოყრილი და გაანალიზებულია 1961-1962, 1965 და 1973-1974 წწ. აღნიშნულ უბანზე ნარმოებული თხრის ანგარიში.

მ. მინიშვილის ნაშრომში მოცემულია 1972 წელს ციხის სამხრეთ სექტორში გათხრილ ნამოსახლართა კვლევის მეცნიერული შედეგები.

რუსთავის გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრები დღემდე გრძელდება. უკანასკნელ წლებში ციხის პარალელურად მასშტაბური სამუშაოებიჩატარდა ნაქალაქარის ტერიტორიაზე, რის შედეგადაც დაგროვდა უამრავი საინტერესო მასალა.

მომდევნო კრებულში ნავარაუდები გვაქვს წლების თანმიმდევრობით გამოვაქვეყნოთ ილუსტრირებული დოკუმენტური ანგარიშები და ცალკეული მასალის - მონეტების, კერამიკისა და ლითონის სრული კატალოგები, ამით მეცნიერულ მიმოქცევაში გვინდა შემოვიტანოთ უმდიდრესი არქეოლოგიური მონაპოვარი.

კრებულში გამოქვეყნებული საილუსტრაციო მასალა შეასრულეს კ. მელითაურმა, ვ. ჩაგუნავამ, ნ. თოფურიძემ, ც. მჩითავიშვილმა, მ. კოზლოვსკიმ, ი. ნესკოროდიევმა, ნ. არჩვაძემ, ნ. ჯანიკაშვილმა, ტ. ამბრიაშვილმა, ო. პირმისაშვილმა, გ. ხოშტარიამ.

ნინამდებარე კრებულის გამოცემაში ხელშეწყობისა და დახმარებისათვის რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია მაღლობას უხდის ქალაქ რუსთავის მერიის ხელმძღვანელობას: ბატონ მერაბ ტეშევლაშვილს და ბატონ მისებ ჯავარიძეს. აგრეთვე მეცნიერებათა აღორძინების ფონდის პრეზიდენტს პროფესორ გურამ ჩაჩანიძესა და გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორს დოცენტ პასმეგ კუდაგას.

# რესტავრაციის მიზანის დასავლეთ უბანები ჩატარებული მუშაობის გელეგები (1961-62, 1965, 1973-74 წწ.)

რუსთავის (ამერალდ, კუხეთის) არქეოლოგიური ექსპლოცია 1959 წლიდან გათხრებს აწარმოებს რუსთავის ნაციხეარზე, კრძოლ, ციხის დასაცლეთ ნაწილში (კწ. XIII თხრიდი). მუშაობა გაიშალა 1961 წლიდან. ჩვენი სურვილა, შევაჯამოთ რუსთავის ნაციხეარის დასაცლეთ ნაწილში 1961-62, 1965 და 1973-74 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები!

აღნიშვნულ უბანზე რომ მუშაობა დავიწყეთ<sup>2</sup>, ისევე, როგორც სხვა უბნებზე<sup>3</sup>, ჩენი ძირითადი მიზანი იყო ციხის გარევანი სახის ჩენება, შიდა და გარე ზღვდის ურთიერთობაშირის გარდავა და იქ მოპოვებული არქოლოგორი მასალის ქრონოლოგიური შესაბამისობის დაღენა.

როგორც აღვნიშნეთ, 1961 წ. XIII თხრილი გამჭრა ნაციხეარის დასავლეთ ზღვაზე მდგრადი და მარტინის ნაციხეარის უკეთესობის უძანევი (ჩრდილო, ჩრდილო-აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ-ზღვაზე) და ციხის შუაგულში) მიმდინრეობდა თხრა (ტაბ. I).

XIII ოხრიდზე მუშაობა დაიწყო გარე ზღვის ერთ-ერთ ბურჯთან<sup>4</sup>, რომელიც მიწის ზედაპირზე რიყის ქვის ნაშენობის ნაშთების სახით ჩანდა. ციხის შიდა ტერიტორიას სკენ თხრის გავრძელების შედეგად, აღნიშნული ბურჯიდან 6 მ მანძილზე აღმოსავლეთი გამოვლინდა ნათალი ქვითა და აგურით ნაგები კოდლი, მის ძირში კა ეწ. „დერეფანი“ (სიგანე- 1,5 მ, სიგრძე - 9,3 მ; ჭაბ. 11,1) და ბურჯი, რომელზედაც დუღამისი აღიზხა<sup>5</sup> ყოფილა დაშენებული (ჭაბ. 11,2) პირველ წელს ამ უბანზე გათხრილი ფართობის სიგრძე - 25,5 მ; სიგანე - 6 მ.

1962 წ. ექსპედიციას ობარ დახვდა კედლის წყობის ნაწილი, ერთი მუკრივი აგურებისა. თხრა გაგრძელდა ბურჯის აღმ. შხარეს; ციხის შიდა ტერიტორიაზე გამოვლინდა ძალზე დანგრეული, უსახური ნაშთები რიყის ქვის კედლებისა, ქვევრ-თონებისა (ტაბ. III, 1). აქ გაითხარა 1 მ სიღრმეზე; შემდეგ მუშობა გაგრძელდა ისევ ზღუდის გარეთ, დადი ბურჯის გარშემო. ბურჯის სამხრეთ შხარეზე გამოვლინდა ისეთივე კედლები, როგორც ჩრდილოეთი, აურეოვე თონები და რიყის ქვის კედლები, რომლებიც ციხის შიდა ტერიტორიაზე კრძელდება (ტაბ. III, 2).

1965 წ. მცირე სამუშაოები ჩატარდა (სულ ორიოდე კვირა), თხრილის სამხ-  
აღმ. და ჩრდ.- დას. ნაწილებში.

წინასწარი ანგარიშების თეზისებში ექსპედიციის ხელმძღვანელი მიჩინებდა,  
რომ შიდა ზღუდე და დიდი ბურჯი უფრო აღრეულია, გარეთა „ფარი“ კი  
გვიანდელი, შიდას დანგრევის შემდეგ აგებული<sup>6</sup>. აგრეთვე გარეგულად თვლიდა,  
რომ სავრცე მათ შორის ალიზით იყო შევსებული, „ფარის“ აგების შემდეგ<sup>7</sup>;  
ხოლო ალიზის დანაშენების იგი გვიანდელ შეს საუცინებებში ჩატარებულ აღდგენით  
სამუშაოებს მაკუთვნებდა<sup>8</sup>.

1973 წ. ნაციօნარის დას. ზღუდეზე მუშაობის განახლებისას ძველად გაჭრილი  
თხრილის სიგრძე 38 მ იყო. მოიცავდა შიდა და გარე ზღუდის ნაწილს და ერთ  
ბურჯს, რომელსაც ჩვენ № 1 ბურჯი<sup>9</sup> ვუწოდეთ (ტაბ. IV).

№ 1 ბურჯის - იგივე № 1 ყრუ კოშკი<sup>10</sup> სამხრეთი, თხრილის სამხრეთ-  
დასავლეთ კუთხეში, ზღუდეებს შორის დარჩენილი იყო გაუთხრელი ფართობი,  
რომელიც შემორჩენილ გარე ზღუდეს უთანაბრდებოდა და მიკრული იყო მასზე  
(ტაბ. III,2). აქვე შიდა ზღუდესთან იწყებოდა კველი (სიგრძე - 0,8 მ) მეტდ  
ლამაზი წყობით, - ერთმანეთს ენაცვლება ვერტიკალურად და პირიზონტალურად  
დალაგებული 4-4 აგური, - და გარე ზღუდის მიმართულებით შედის გაუთხრელ  
ტერიტორიაზე. აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ თხრილის სამს. საზღვარი (შემდეგ  
იწყება 1972 წ. განათხარი) წარმოადგენს ჭრილს, რომელზეც კარგად შეინიშნება  
ალიზის აგურები, ერთმანეთისაგან თიხის ფენით გამოყოფილია.

№ 1 ყრუ კოშკის ჩრდილოეთი ზღუდეებს შორის ფართობი არათანაბარ  
დონეზე იყო ჩათხრილი. აქვე იყო აგურით ნაგები კედლის ნაშთი, ზუსტად  
ისეთივე წყობით, როგორც № 1 ყრუ კოშკის სამხრეთითაა. შემდეგში გაირკვა,  
ისინი შიდა ზღუდის მცველიან კოშკების წარმოადგენდა.

თხრილის ერთ დონეზე დაყვანა დავიწყეთ № 1 ყრუ კოშკის სამხრეთი  
დარჩენილი ფართობის (სიგრძე - 10, 5, სიგანე - 3,8, სიღრმე - 2 მ) აღებით,  
რადგან ამ გაუთხრელი ტერიტორიის (ტაბ. III, 2) თანდათანობითი დაღრმავება  
აღრე გათხრილი ნაწილების უკეთ გააზრების საშუალებას მოგვცემდა. ერთ  
დონეზე დავიყვანეთ, აგრეთვე, ფართობი ზღუდეებს შორის № 1 ყრუ კოშკის  
ჩრდილოეთით და ამავე მიმართულებით თხრილი 20 მ-ით გავარმელეთ.

საბოლოოდ თხრილმა ასეთი სახე მიიღო: სიგრძე - 58, სიგანე - 6, საშუალო  
სიღრმე - 2,3 მ. იგი მოიცავს დასავლეთ და სამხრეთ - დასავლეთ შიდა და გარე  
ზღუდეს - კოშკებითურთ და პილონებიანი კედლის ნაწილს (ტაბ. V).

შიდა ზღუდე წარმოადგენილია ორი მცველიანი და ორი ყრუ კოშკით, რომე-  
ლიც თითქმის თანაბარ (9,4-9,5 მ) მანძილზე ენაცვლება ერთმანეთს. № 2  
მცველიანი და № 1 ყრუ კოშკი უკეთა შემორჩენილი; № 3 მცველიანი და № 4  
ყრუ კოშკი - მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან მათ წინ გარე ზღუდე მთლიანად  
გარღვეულია; მასალაც ძალზე არეულია; № 2 მცველიან და № 1 ყრუ კოშკებს

შორის ფენები შედარებით კარგად გამოიყოფა; აქ გარე ზღუდე გარღვეული არ არის და თავის დროზე ზღუდების შორის შევსებული არ ხელუხლებელია. ჩანს, ამ ნაწილში შედარებით ნაცლები ნირვება ყოფილა, ვიდრე მცს გვერდით ჩრდილოეთით.

როგორც ვიცით, რუსთავის ციხე თითქმის მრგვალია (ფართობი დაბაზღობით - 1,5 ჰა, პერიმეტრი - 420 მ). ორივე ზღუდე რელიეფს მაკვება და დახლოებით ქონტროლის სებთან ტეხილებს აკოტებს (ტაბ. I). აღვწეროთ XIII უბანი 1973 წ. ჩატარებული თხრის პროცესის მიხედვით.

შიდა ზღუდის № 2 მცველიანი კოშკი გამოვლინდა № 1 ყრუ კოშკის სამხრეთით თხრილის სამხ.-დას. კუთხეში, ზღუდეებს შორის დარჩნილი გაუთხრები ფართობის აღების შედეგად. ამ ფართობზე დაღრმავების დაწყებისთვალის გამოიკვეთა რიყის ქვით ნაგები კვდილის ნაშთი (სიგრძე - 3,8, სიგანე - 0,7 მ), რომელიც გარე ზღუდის შემორჩენილ დონეზეა და მასზე პერპენდიკულარულად არის მიღვმელი (ტაბ. VI, 1). სათანადო ფიქსაციის შემდეგ ეს ქვედი ავიღეთ.

შიდა ზღუდის წინ ჭრილის გაკეთებით (ტაბ. VI, 1) გაირკვა, რომ აქ ზღუდეებს შორის არ ხელუხლება შემდეგნაირად (აღვწეროთ ქვემოთ ზემოთ).

1. ხრუშიანი ფენა (40 სმ, ძველოთაც გრძელდება) შეიცავს გვაინბრინჯაო-ადრეგინისა და ადრეული შუა საუკუნეების აღრუელი საფეხურის კერამიკას<sup>11</sup>.

2. გაჯიან-ალიზიანი ფენა (15-20 სმ), რომელიც უსწორდება შიდა ზღუდის შემორჩენილ დონეს. ამ ფენის კერამიკა<sup>12</sup> IX-XI სს. თარიღდება.

3 თიხატეპნილი ფენა (90 სმ), აგურით ნაგები კერის ნაშთით, რომლის ნახევარი ადრე ჩაუჭრიათ<sup>13</sup>.

4. რიყის ქვის კვდლის ნაშთი, რომელიც გამართულა თიხატეპნილზე; იგი შესაბამისი მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკით<sup>14</sup> XII-XIII სს. თარიღდება.

თხრილის სამხ.-დას. კუთხეში გამოვლენილი შიდა ზღუდის № 2 მცველიანი კოშკი ნახევარ წრიული ფორმისაა (ტაბ. VI, 2; VII). ჩრდ. ფრთა ჩათხრილია 65 სმ, სიგანე - 1,5 მ. შემორჩენილი ალიზის სიმაღლე - 30 სმ. აქ მთლიანად აგურის რიგებს ენცვლება რიყის ქვით შევსებული მომცრო, ყვითელი ქვის კვადრები. აგურის რიგების წყობა ასეთია: გრომანების ენცვლება ვერტიკალურად და პირიზონტალურად დალაგებული 4-4 აგური<sup>15</sup>, კოშკის ზემოდან აღვეს ქვიშანარები თიხის თხელი ფენით შეკავშირებული ალიზი<sup>16</sup>. სამს ფრთაზე ალიზის შემორჩენილი სიმაღლე 1,4 მ. ცენტრით № 2 მცველიანი კოშკი გარე ზღუდეს უკავშირდება რიყის ქვით ნაგები განიერი კვდლით<sup>17</sup> (ტაბ. VI, 2). კოშკის შიგნით ჩავალრმავეთ მხოლო 20 სმ. მას შიგნითა პირზე გარშემოუვევება რიყის ქვები და დიდი ნაცლენი ქედი, რომლებზედაც აგურები აწყვეთ. კოშკი პირდაპირ ეცვინება პილონებიან კვდელს. მისი შიდა ფრთობის სიგრძე - 4 მ; სიგანე - 2,9 მ. სამს ფრთა მხოლოდ ნაწილობრივაა გამოვლენილი<sup>18</sup> (ტაბ. VII).

№ 2, მცველიან და № 1 ყრუ კოშკებს შორის მანძილი 9,35 მ (ტაბ. VI, 2). ამ შორის კვეთში შიდა ზღუდე ჩათხრილია 0,7 მ; სიგანე - 1,85 მ; შემორჩენილი წყობა ასეთია: დაკუთხულ დიდ ყვითელ ქვები<sup>19</sup> ზემოდან პირიზონტალურად ადვეს 3-4 აგურის წყობა. ზედაპირი მოკირწყლულია რიყის ქვით, რომელზედაც ალიზია შემორჩენილი (ტაბ. VII).

შიდა ზღუდეზე მიღვმული პილონებიანი კედლის<sup>20</sup> წყობა ასეთია: ერთმანეთს ენაცვლება რიყის ქვით შევსებული შედარებით პატარა ყვითელი ქვებისა და პირიზონტალურად დალაგებული თითო აგურის წყობა<sup>21</sup>. გვხვდება წუნი აგურიც (ტაბ. VII).

გვანდოდა გაგვევე, როგორი იყო შიდა ზღუდის პირი შიგნიდან. ამის გასარკვევად მცირე სამუშაოს ჩატარების შესაძლებლობა მოვევცა სწორედ ამ ადგილას, № 1 ყრუ-კოშკის სამხრეთი, სადაც პილონებიანი კედლელი ჩანგრეულია (ტაბ. VIII, 1). აქვე, ე.ი. შიდა ზღუდის შიგნით, ციხის ტერიტორიაზე, ნასახლართა არეც წინა წლებში ნაწილობრივ, უკვე ჩაჭრილი იყო. ამ ფართობზე (სიგრძე - 2, 6 მ, სიგანე - 2, 55 მ) მცირედ ჩაღრმავების შედეგად ასეთი სურათი მოგვიდეთ: მოლიანად გამოვლინდა ერთი პილონი (სიმაღლე - 1 მ; სიგანე - 0, 75 მ); პილონებიანი კედლელი (სიგანე - 0, 9 მ) დანგრეულია შიდა ზღუდის შემორჩენილი ზედაპირიან (ამის ზემოთ აღინია კდო) 40 სმ-ზე, შემდეგ ისევ გრძელდება. პილონებიან კედლელსა და შიდა ზღუდეს შორის მცირე არე შევსებულია აგურის ნატეხებით. შიდა ზღუდის შიგნითა პირი წარმოადგენს დუღაბით მოლესილ რიყის ქვეს (ტაბ. VIII, 2). ამ დონეზე ე.ი. შიდა ზღუდის პირიდან 40 სმ სიღრმეზე ამოვიდა აღრეული შუა სუკუნების დასახრულის მასალები<sup>22</sup>, ხოლო პილონებიანი კედლის საძირკველთან და მის ქვემოთ (ისევ 40 სმ სიღრმეზე) - ამავე ხანის დასაწყისისა<sup>23</sup> იყო გვიანბრინჯაოს ხანის კრამიკაც<sup>24</sup>.

შიდა ზღუდის შიგნითა მხარეს ისეთივე სურათია, მასალების მიხედვით, როგორც მის გარეთ.

ზესტად შიდა ზღუდისნაირი წყობა გრძელდება № 1 ყრუ კოშკზეც, ოღონდ, აქ უფრო დიდი ზომის აგურებიც ურევია<sup>25</sup>, რომელსაც მოპყვება დიდი, ყვითელი ქვები<sup>26</sup>. კოშკს ზედ ადვეს გაჯით შეკავშირებული აღინია<sup>27</sup>, რომლის შემორჩენილი სიმაღლე - 1,5 მ-ია ესაა სამხრეთი ფრთა, რომელიც გამოვლინდა 0,8 მ (აღინია გარეშე); შემორჩენილი სიმაღლე აღინიანდ - 2,3 მ (ტაბ. IX, 1).

№ 1 ყრუ კოშკის ჩრდ. ფრთა 1,3 მ-ზეა ჩათხრილი (ტაბ. IX, 2 X, 1,2). აქ აღიზი თთების არ არის შემორჩენილი. პირიზონტალურად დალგებულ 5-6 აგურს მოპყვება დიდი დაკუთხული ქვები<sup>28</sup>, რომელთა წყობა გასწორებულია აგურით. შემდეგ დუღაბით შეკავშირებული რიყის ქვებისა და 3-3 აგურის პირიზონტალური წყობა ერთმანეთს ენაცვლება. ეს კოშკიც ნახევარწრიულია. სიგანე (ზღუდის გასწვრივ) - 6,7 მ, სიგრძე (ცენტრში) - 5,7 მ. გარე ზღუდეს უკავშირდება რიყის ქვის კდლით<sup>29</sup>. (ისევე, როგორც № 2 მცველიანი კოშკი.)

№ 1 ყრუ და № 3 მცველან კოშქს შორის შიდა ზღუდის სიგრძე - 9, 45 მ, სიგანე - 1, 65 მ-ია (ტაბ. XII). რიყის ქვით მოკირწყლულ ზედაპირზე ალიგატორის ნარჩენია, ისევე, როგორც № 1 ყრუ და № 2 მცველან კოშქებს შორის. შიდა ზღუდის წყობა: 3-4 აგურის პორიზონტალურ წყობას მოჰყვება დაიდ, ყვითელი ქვები<sup>30</sup>, რომლის წყობაც გასწორებლია ზედა აგურით. შემდეგ აგურისა და რიყის ქვების წყობა და ისევ ფითელი ქვები, ოღონდ, უმეტესად პატარები<sup>31</sup>. ამ მონაკვეთში ზღუდეზე მიღებული პილონებიანი კედლის შემორჩენილი სიმაღლე - 1, 5 მ-ია სიგანე - 75 სმ. წყობა ასეთია (ქვევიდან ზევით): დაკუთხული, დაიდ, ყვითელი ქვები<sup>32</sup>, შემდეგ რიყის ქვების 2-3 წყობას ზემოდან პორიზონტალურად აღადგა 3-3 აგური, რომელსაც მოჰყვება ისევ დაიდ, ყვითელი ქვები<sup>33</sup>. შეკავშირებულია დუღაბით. შიდა ზღუდისა და პილონებიანი კედლის წყობა თითქმის კრითიკულია (ტაბ. X, 3; X 11).

ზემოთ აღწერილ მონაკვეთს მოჰყვება № 3, მცველანი კოშქი, რომელიც თითქმის მოლიანად დანგრეულია. შემორჩენილია სამს. ფრთის ნაწილი, ჩრდ. ფრთის კი - მხოლოდ შიდა ზღუდესთან შექმნილი კუთხი, კოშქის სიგანე ზღუდის გასწვრივ - 6,35 მ. № 3 მცველანი კოშქის სამს. ფრთის ბოლომდე გამოსაელინებლად ჩავალრმავეთ ამ ფრთისა და შიდა ზღუდის კუთხესათან (ტაბ. XI, 1). კოშქის უმაღლესი შემორჩენილი სიმაღლე - 1,9, სიგრძე - 2,3 სიგანე 1,3 მ-ია. წყობა (ზემოდან ქვემოთ): შენაცვლებით პორიზონტალურად და გრძელი კალის დალაგებული 4-4 აგურის მწერივი, შემდეგ დაიდ, ყვითელი ქვები, რომლის ქვემოთაც არის 7-8 სმ, სიგანით გამოწეული და 1,2 მ სიმაღლის მქნენ რიყის ქვებით შევსებული დაიდ, ნაგლეჯი ქვების წყობა, რომელიც ხრეშის ფენაში დგას. ამ კუთხეში, ხრეშიან ფენაში, ძარითადად, გვაინდონჯაო-ადრერკინის სანის კერამიკა ამოვადა<sup>34</sup>. სამს. ფრთის შიგნით დაიდ რაოდენობით ეყარა მოელი აგურები. ისინი, ალბათ, კოშქის შიდა პირს შემოუყვებოდა, ისევე, როგორც № 2, მცველან კოშქს. კოშქის შიგნით ამოწმენდისას მეტად საინტერესო მასალა ამოვიდა - ძირითადად ადრეული შეუსაუკუნების დასაწყისისაც და აგრეთვე, გვალ ბრინჯაოს სანის<sup>35</sup>. აღსანიშნავია წითლად შეღებილი, მაღალლობიანი, დაიდ კრამიტები<sup>36</sup>, რომლებიც თავისი ზომებით ანტიკური ხანის სტანდარტს უახლოვდება. ეს კოშქიც ვერ ამოვწმინდეთ ბოლომდე<sup>37</sup>, ე. ი. პილონებიან კედლამდე, რადგან შეგვეშინდა, მოლიანად გამიშვლებით იგი არ დანგრეულიყო.

სამს. ფრთია გადადის შიდა ზღუდეზე და გეჯინება პილონებიან კედლებს, ისევე, როგორც № 2 მცველანი კოშქი. შემორჩენილია 80 სმ. სიმაღლის რიყის ქვის წყობა (ტაბ. XII). № 3, მცველანი კოშქის გასწვრივ პილონებიანი კედლის შემორჩენილი სიმაღლე - 1,3 მ. აქც 10-15 სმ. სიგანის შვერილია. შემორჩენილია რიყის ქვების ორი წყობა, შემდეგ აგური და ორი რიყი დაიდ, ყვითელი ქვებისა, შევსებული რიყის ქვებით: შეკავშირებულია დუღაბით.

სწორედ № 3, მცველიანი კოშკის ნანგრევებიდან (ჩრდ. მიმართულებით) დაგონიერ მუშაობა გაუთხრელ ფართობზე. 20 მ. სიგრძეზე გამოვლენილი ღწევა შედა ზღუდე და № 4 ყრუ კოშკი. ამ მონაკვეთში გარე ზღუდე მოთვალიანად გარღვეულია. მანძილი № 3, მცველიან და № 4, ყრუ კოშკებს შორის 9 მ-ია (ტაბ. XI,2). გარევა, რომ აქ შიდა ზღუდეზე კარგადაა შემორჩენილი გაჯით შეკავშირებული ალიზი<sup>39</sup>, რომელიც დაკავშირდება და აგურზე. ამას მოჰკვება რიყის ქვებით, აგურითა და დუღაბით შევსებული საშუალო ზომის, კვითელი ქვები. შემდევ 15 სმ სიგანის შვერილით გამოწული ზღუდე ნაგებია ძირითადად რიყის ქვებით (სიმაღლე - 1,2 მ). აქაიე არის აგურებიც და ერთი მოზრდილი ქვაც (№ 3 მცველიანი კოშკის კუთხესთან). როგორც ჩანს, ეს არის შიდა ზღუდის ცოკოლი.

№ 4, ყრუ კოშკის ჩრდილოეთით შიდა ზღუდე გამოვლინდა კიდევ 2,3 მ სიგრძეზე (ტაბ. XI,11, XIV)<sup>40</sup>; შემორჩენილი სიმაღლე 1,4 მ. მას თავზე აღვეს ჯერ ქვიშანარევი თანის თხელი ფენით, ხოლო შემდევ - გაჯით შეკავშირებული ალიზი (3 აგური), რომელზედაც პირდაპირ ბალანსია ამოსული. ზღუდის წყობა ასეთია: ალიზი დაც ს პირიზონტალურად დალაგებულ 3 აგურზე, რომელსაც მოჰკვება შენაცვლებით, პირიზონტალურად და ვერტიკალურად დალაგებული 4-4 აგურის წყობა, ისევე, როგორც ეს იყო 1961 წლის გათხრილ ზღუდეზე, № 1, ყრუ კოშკის ჩრდილოეთით (ტაბ. II, 1) შიდა ზღუდის ახლად გამოვლენილი ნაწილის წყობაში ერთი დიდი ყვითელი ქაც ურევია, რაც შეკეთების კვალი უნდა იყოს. საბარკვლად რიყის ქვის წყობა (ს. - 70 სმ).

ზღუდებს შორის არე შევსებული იყო თიხატკებინილი ფენით, რომელშიც გაჯის და კერამიკის ნატეხებიც ერთა. აქ მოპოვებული მასალა მეტად საინტერესოა, ძირითადად აღრული შეს საუკუნეების და გვარანტიურული აღრუებინის სანისა<sup>41</sup>. თიხატკებინილის შემდევ ხრეშიანი ფენაა. აქ ხრეში მცირე რაოდენობითა შერეული (№ 1, ყრუ და № 3, მცველიან კოშკებს შორის კი მთლიანად 1 მ, სისქის ხრეშის ფენაა). ამ მონაკვეთში შიდა ზღუდე მოლიანად გამოვაჩინეთ. შემორჩენილი სიმაღლე ალიზიანად - 2,4 მ-ია, უალიზოდ - 1,7 მ, ზღუდის სიგანე, პილონებიან კედელთან ერთად - 2,45 მ.

ამ მონაკვეთში ჩანს, რომ შიდა ზღუდე და პილონებიანი კედელი თითქოს ერთი ნაგებობაა და ერთადაა გაუქმებული, რა თქმა უნდა, დანგრევის შემდევ, რაც XII-II ნახევარში უნდა მომხდარიყო, შემდევ კი მათზე გამართულია XII-XIII სს.-ის ნასახლარები.

ერთი ასეთი ნასახლარის ნაშთი შემორჩენილია № 4, ყრუ კოშკობ, სამხრეთით. შიდა ზღუდის თავზე ალიზში ჩადგმული იყო რიყის ქვით ნაგები კედელი, ზედ მიღმელი თონით (ტაბ. XV, 1). კედელი გალადის შიდა ზღუდეზე, მიემართება გარე ზღუდისაკენ და შესაძლოა ებჯინებოდა კიდეც მას (გარე ზღუდე აქ

გარღვეულია) ისევე, როგორც ეს გვაქვს XIII თხრილის სამხ-დას. კუთხეში (ტაბ. VI, I) კედლის შემორჩენილი სიგრძეა - 1,7 მ, სიგანე - 0,7 მ. შემორჩენილია, რიყის ქვების ერთი-ორი წყობა.

კედლზე მდგმულია თოხე<sup>42</sup>, რომელშიც ჩალაგებული შემა ისეა დანახმირებული, რომ ფორმა თოხის მთელ დამეტრზე შენარჩუნებული აქვს. თოხში აღმოჩნდა ძლიერ დამტვარი და გაფუჭებული, მოჭიქული ჯამის ნატეხები (ტაბ. XV, 2). ამ ნასახლარის კუთვნილი უნდა იყოს შიდა ზღუდისა და № 4 ყრუ კოშკის თავიდან მოძინარე მეტად სასანტერესო და მრავალფროვანი მასალა, რომელიც XII-XIII სს-თ თარიღდება. ეს არის მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა<sup>43</sup> და ორი მონეტა - გიორგი III და ჯალალ-ად-დინისა<sup>44</sup>.

№ 4, ყრუ კოშკი, ისევე, როგორც № 3, მუხლისი კოშკი ძლიერ დარღვეულია. ამისგამო, გაწმენდის შედეგად საშუალება მოგვიცა მიგვეღო კოშკის სტრატიგრაფიული ჭრილი (ტაბ. XIII). აღნერთ ქვემოდან ზევით: 1) ვრუნტზე დგას რიყის ქვის კედლი - 20-70 სმ; 2) თიხის მასა - 1,1მ; 3) მომახდაკება - 5სმ; 4) ტიხხანი აღიზი (გაჯიანი) - 40 სმ; 5) აღიზის ნაშალი - 60 სმ.

№ 4, ყრუ კოშკის თავზე აღიზის ნაშალის აღების შემდეგ გამოიკვეთა კედლი<sup>45</sup>, რომელიც ჩათხარა 45 სმ-ზე. ესაა ერთი წყობა დიდი, ყვითელი ქვის კვადრებისა<sup>46</sup>, რომლებიც აგურზე აწყვავა. იგი სამს. და ჩრდ. აეკებს კუთხეს და ასევე კუთხით უერთდება პილონებიან კედლს. გამოდის, რომ ე.წ. პილონებიანი კედლი კოშკის თავზე აკეთებს ტეხილს, რომლითაც ოთკუთხედი გამოისახა.

№ 4, ყრუ კოშკის სიგანეა (ზღუდის გასწვრივ) - 8,5 მ. შიდა სიგანე - 4,5 მ; კოშკი ნახევარწრიულია, წინა მხარე გარღვეულია (ტაბ. XIII; XIV). სამხრ. ფრთაზე მისი სიგრძეა 4 მ., სიგანე - 2,2 მ, სიმაღლე - 1,6 მ. შემორჩენილია გაჯით შეკავშირებული აღიზი (სიმაღლე - 55 სმ). იგი დევს რიყის ქვის ფენილზე, რომელსაც ასხავ ჯრხსნარი. აღიზი მოპირკეთებული ჭოვილა გამომწვრია აგურით (შემორჩენილი ს. - 40 სმ.) ამის ქვემოთ კოშკი გამოწეულია 15 სმ სიგანეზე შემდეგი წყობით: ერთმანეთს მისდევს თითო მწერივი აგურის, რიყის ქვისა და დიდი კვადრებისა, შემდეგ მოჰყვება პირიზონტალურად დალაგებული 3 აგურის წყობა და ისევ დიდი კვადრები შევსებული რიყის ქვითა და აგურით.

გაჯით შეკავშირებული აღიზი კოშკის თავზე, პილონებიანი კედლიდან, 1,4 მ მანძილზე კრცელდება.

ჩრდ. ფრთაზე (შემორჩენილი სიგრძე - 2,9 მ, სიგანე - 1,6 მ, სიმაღლე - 1,5 მ), აღიზის ქვემოთ 2-3 აგურის პირიზონტალური წყობაა, შემდეგ დუღაბით შევსებული, მომცრო ზომის, ყვითელი კვადრები და მერე - ისევ მომცრო ყვითელი კვადრების, რიყის ქვებისა და აგურის ძალზე შერეული წყობა (ტაბ. XIV, 1).

№ 4, ყრუ კოშკის შეაგულში გამოვლინდა თიხის მაგარი მასით შეკავშირებული რიყის ქვის კედლის ნამთა<sup>47</sup>. იგი იწყება კოშკის ჩრდ. ფრთიდან (თითქოს

შიგნითაც შედის) და გრძელდება ალმაცერად, სამხრეთ - დასავლეთის მიმართულებით (ტაბ. XIII). შემდევ თითქოს წყლებია (გრუნტზე კედლის ფორმა შენარჩუნებულია), მერე უხვევს აღმოსავლეთით და შედის კოშკის უები. მშვიდე მხარეს კედლი (სიგრძე - 1,3 მ, სიგანე - 0,5-0,7 მ) ძლიერ დანგრუელია (ტაბ. XVI, 1,2; XVII, 1; XIV, 1). რიყის ქვის კედლების შორის ამოვიდა მხოლოდ და მხოლოდ გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანის მასალები<sup>48</sup>.

ყოველივე ამან და განსაკუთრებით, კოშკის თავზე გამოსახულმა ოთხკუთხა ნაგებობამ, რომელიც კუთხებით უკავშირდებოდა პილონებიან კედლებს (ტაბ. XVI, 3), აღვიძრა დიდი სურვილი, რომ № 4, ყრუ კოშკი შივნიდან გამოგვეწმინდა ბოლომდე, ე. ი. პილონებიან კედლამდე, რათა შეგვემოწმებინა და თვალსაჩინო გაფეხადა ჩექნის მიერ წარმოდგენილი მათი, ე. ი. პილონებიანი კედლის, ოთხკუთხა ნაგებობის, ნახევარწროველი კოშკისა და რიყის ქვის კედლების სტრატიგრაფიული ურთიერთობას; ეს გაკეთდა მხოლოდ 1974 წ.<sup>49</sup>

დაღრმავება დავიწყეთ ისევ ზევიდან (კონტროლისთვისაც), ნახევარწრიული № 4, ყრუ კოშკის თავიდან: ავიღოთ გაჯზე დადგებული აღიზი, რიყის ქვის ფენილი და თანდათანობით ჩავედით გრუნტამდე (სხ. ზემოთ ჭრილი). ამგვარად, მოლინად გამოჩნდა ოთხკუთხა კოშკის წინა, დას. მხარე, ცოკოლისთურთ. (ტაბ. XVI, 1,2). კარგად გამოიკვეთა აგრეთვე, რომ რიყის ქვის მომრგვალებული კედლი, რომელიც გრუნტზე დევს, შედის ოთხკუთხა კოშკის ცოკოლის ქვემ. ამგვარად, ოთხკუთხა კოშკი ჩაღვმულია ამ რიყის ქვის ნაგებობის შემცველ უენაში (ტაბ. XIV, 1; XVI, 1). როგორც 1973 წ. კედლების შიგნით, ოთხკუთხა კოშკის საძირკვლის ქვემოთ, გრუნტამდე<sup>50</sup> ამოღებული მთელი მასალა გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანის განკუთვნება<sup>51</sup>.

ოთხკუთხა კოშკის წინა მხარე, ე. ი. მისი დას. კედლის სიგრძე - 5 მ. შემორჩენილი პირიდან სიმაღლე - 1,75 მ, აქედან ცოკოლამდე - 1,15 მ (ტაბ. XVI, 2). ცოკოლის სიმაღლე 50-60 სმ, სიგანე - 10-15 სმ. იგი წარმოადგენს რიყის ქვისა და გაჯის ნარევს. მის ქვემოთ კი არის ბრტყელი, დიდი ქვებით მოგებული მოედანი, აღბათ, საერთოდ შენებლობისათვის (ტაბ. XVII, 1).

ოთხკუთხა კოშკის დას. კედლი ცოკოლამდე წარმოდგენილია დიდი, დაკუთხული ქვათლილების ორი რიგით (XVI, 1,2). ზედა რიგში 5 ქვაა, ქვედაში - 7. ზედა რიგს რაც აკლია, შეკსებულია აგურით. ვფიქრობთ, ეს მაშინ უნდა გაეკეთებინათ, როდესაც აშენებდნენ ნახევარწრიულ კოშკს. ოთხკუთხა უკვე დანგრუელი იყო და შეავსეს, უბრალოდ, გაასწორეს სიმაღლეში, რომ მერე ალიზის აგურები გაემართათ ზედ. შევსებული აგურის ზომა (20 X 5) სმ, ზედა რიგში ყველაზე დიდი ქვის სიგრძე - 1,4 მ, სიმაღლე - 45 სმ; ერთ აღვილას გამოტენილია ოვალურად, მეორე მოზრდილი ქვის სიგრძეა - 75 სმ, სიმაღლე - 55 სმ; დანარჩენი კრთხაირია და შედარებით, პატარა. მეორე რიგის ქვების ზომები

ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ასეთია 1) სიგრძე - 40 სმ, სიმაღლე - 50 სმ; 2) სიგრძე - 60 სმ, სიმაღლე - 45 სმ, 3) 80 და 45 სმ; 4) 1 მ და 50 ხმ; 5) 35 და 45 სმ; 6) 1,5 მ და 55 სმ, 7) 60 და 50 სმ.

ეს ქვები ერთ მშეკრიცვისა ჩაღავებული, ვერტიკალურად და პირიზონტალურად.

ოთხკუთხა კოშკის სამს. კედლის სიგრძეა (პილონებიანი კედლის კუთხებში) - 1,6 მ. შემორჩენილია ორი დიდი ქვა<sup>52</sup>, რომელიც კუთხეს კრავს პილონებიან კედლთან (ტაბ. XVI, 3). აქვე აღნიშნავთ, რომ პილონებიანი კედლი ამ კუთხეში სამს. მიმართულებით 35 სმ-ზე შევსებულია აგურებითა და ალიზის აგურით; შემდეგ ამ კედლის აქვს 4 დიდი ქვა<sup>53</sup>, მერე დანგრეულია<sup>54</sup> და ისევ გრძელდება № 3, მცელიანი კოშკის თავზე.

ოთხკუთხა კოშკის ჩრდ. კედლის (სიგრძე - 1,25 მ, სიმაღლე - 25 სმ) დიდი მოყვითალო ქვები<sup>55</sup> ძალას შევლი და გამოვიტულია (ასევა დას. კედლის ქვებიც). სამი ქვის მეტი ვერ გამოვაჩინეთ, რადგან ეპევ ციხის შიდა ტერიტორიაზე ვიჰრებოდით, ირლვერდა განათხარის ხაზი; აგრეთვე, აյ ძალაზი პირდაპირ ალიზზეა ამოსელი და როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, კოშკის თავი ბოლომდე ვერ მოვასუფთავეთ. ამ მხარეს არც პილონებიანი კედლია გამოვლენილი, იმავე მიზეზის გამო.

ოთხკუთხაკოშკის ჩრდ. კედლიდან № 4, ნახევარწროული, ყრუ კოშკის ჩრდ. ფრთამდე სიგანე - 40 სმ-ია (ტაბ. XVI, 2) ხოლო სამს. კედლიდან სამხრეთ ფრთამდე - 50 სმ (ტაბ. XVI, 1). ეს სივრცე აღიზითაა შევსებული. ოთხკუთხა კოშკი გაუქმების შემდეგ მოსლინად მოკუებულია ნახევარწროულ, ყრუ კოშკი, რომელიც ახლა გარღვეულია, წინა მხარე - ცენტრი აღარაა შემორჩენილი. მაგრამ სულ ძორში, თითქმის გრუნტზე შეინიშნება მორჩვალებულებად დაღავებული რიყის ქვების მწყრივი, რომელიც შედა პირის ხაზი უნდა იყოს. მანძილი ოთხკუთხა ცოკოლიდან ამ შიდა პირამდე - 2,5 მ-ია (ტაბ. XIV, 1).

კარგად გამოჩნდა, რომ ნახევრაწროული კოშკის ფრთები დასაწისში ვიწროა და მერე თანდათმ განიერდება. სამს. ფრთის სიგანე დასაწყისში - 1,3 მ-ია, განარღვევში - 2,4 მ. ჩრდ. ფრთის დასაწყისში - 1,4 მ, განარღვევში - 1,5 მ. ჩრდ. ფრთის შიდა სიმაღლე უაღინოდ 1,7 მ-ია, სამს. ფრთისა - 1,5 მ. ამაში ემცვევა ოთხკუთხა კოშკის ქვება რიგი და ცოკოლი, ე. ი. ნახევარწროული კოშკის ფრთები უაღინოდ იწყება ოთხკუთხა კოშკის ქვედა რიგის დონიდან.

კოშკის შიგნითა სივრცე ამოვსებული იყო თიხის მასით, რომელიც შეიცავდა ძალიან ბევრ კერამიკულ მასალას. სწორკუთხა კოშკის პირიდან 1,4 მ-მდე, ე. ი. ამ კოშკის ცოკოლიამდე<sup>56</sup> და ცოკოლის დონიდან 60 სმ სიღრმეზე ე. ი. ცოკოლის ძორამდე<sup>57</sup>, ძორითადად ამოვიდა აღრული მუს საუკუნეების ღიაფრად გამომშვარი მოუჭიქავი, დიდი ზომის ნაირ-ნაირი ჭურჭელი. იყო რამდენიმე არქაული ნიმუშიც. ეს თიხის მას ზემოდან მოპირკეთებული იყო რიყის ქით, რომელზეც გამართული იყო გაჯზე დაღებული აღიზი. აღიზი გრძელდებოდა ნახევარწროული კოშკის

შესაბამის განიტო ზღუდეზე და მთლიანად ფარავდა ოთხკუთხა ქოშქს და მის  
შესაბამის, ე.წ. პილონებისა კვეთოს.

გაირკვა, რომ სწორედ ეს, ე.წ. პილორნებიანი კულტური თავისი შესაბამისი როხებულთხა კოშკებით, წარმოადგენდა რუსთავის ციხის თავდაპირველ ზღუდეს, რომლის დანგრევისა და გაუქმების შემდეგ მასზე მიუდგამო მეორე - ახალი, უფრო განიერი ზღუდე სახელარწმოული კოშკებით; ეს თავდაპირველი ზღუდე მოლიანად მოქცეულია მეორეში; თავზე კი მათ ალიზი ადგეს.

აგრეთვე გასაგები გახდა, თუ რატომ პქნონდა ალიზით დაფარულ პილონებიან კედელს ფასადური წყობა და რატომ გავდა პილონებიანი კედლისა და ნახევარწრიული კოშკებიანი ზღუდის წყობა ერთმანეთს: ორივე ზღუდულ შეა საუკანეებშია აგებული, ერთი დასაწყისში, მეორე - დასასრულს; ორივე - ე.წ. „შეკრული წყობით“.

1974 წლის მუშაობა გაგრძელდა დას. შიდა ზღუდის № 4, ნახევარწროვლი ყრუ კოშკიდან ჩრდ. დას. ზღუდელე, რომელიც ყველაზე მაღალზეა შემორჩენილი. ეს მაღალი ზღუდე გრძელდება ჩრდ. და უერთდება ჩრდ.-აღმ. დიდ, აღმიან, ყრუ კოშკს, რომელიც, აგრეთვე, კარგად არის შემორჩენილი.

ასლად გაჭრილ ფართობზე (სიგრძე - 40 მ, სიგანე - 6 მ, სიმაღლე - 20), გამოვლინდა დას. და ჩრდ.-დას. შიდა ზღუდე<sup>58</sup> ერთი ნახევარწრიული, ყრუ კოშკით (№ 5) და პილონებით კვლელია; ჩრდ. დას. კუთხეში შიდა ზღუდე შექრწყა გარეს.

დასავლეთ მხარეზე გარე ზღვიდე მოლანად გარეულია<sup>59</sup>.

№ 4, ნაზვარწროვლი, ყრუ კოშკიდან - № 5, ასეთივე კოშკამდე შიდა ზღულის სიგრძე - 13,8 მ-ია (ტაბ. XVIII). ამ მონაკვეთს ეტყობა შეკეობის კვალი. შიდა ზღული ნაგებია მოზრდილი, დაკუთხული, მოყვათალო ქვებითა და აკურით. ზემოდან გაჯზე დადგებული აღიზია (შემორჩენილი სიმაღლე-60 სმ). აღიზის ერთი აგურის სიგრძე - 3,5 სმ-ია, სისქე - 7 სმ, გაჯის ფენის სისქე - 3-5 სმ. წყობა ასეთია: საძირკულად (ბოლომდე არ გამოვიჩნია) რიფის ქვა (ს. - 70 სმ), შემდევ დიდი, ნატეხი, გვითელი ქვაა, აგურებით შეცებული. აღაგ-აღაგ გვაქვს 4-4 აგურის კერტიქალური და პორიზონტალური წყობა. ამის ზემოთ კი; პორიზონტალურად დალაგებულია აგურების მწკრივი (3-დან 6-მდე), რომელზედაც დავს გაჯისანი აღიზი.

აღნიშნულ მონაკვეთზე გადმონგრუებულია პილონებიანი კედელი - ერთმანეთშია არეული დიდი, მოვითალო ქვის კედრები (6-7 ცალი)<sup>60</sup>, ალიზის აგურები და რიყის ქვები. ეს ნანგრევი (სიგრძე 4,5 მ) ზოგ ადგილას 50 სმ-ზე იყო გადმოწყვლი შიდა ზღუდის პირიდან (ტაბ.XVII, 2). ვფიქრობთ, ეს უნდა მომხდარიყო ნახევარწრიული კოშკებიანი შიდა ზღუდის დანგრევის დროს. ზღუდის თავი არ გადავვიწმენდა, ბალახი პირდაპირ ალიზზეა ამოსული და სულ დაინგრევოდა, ხელი რომ გვეხლო.

ზღუდის აგურის ზომებია: 24 X 5 სმ და 24 X 4 სმ. № 4, ნახევარწრთულ, ყრუ კოშკთან, ჩრდილოეთით, ზღუდის დიდი ქვების ზომებია: 55 X 25 სმ. 80 X 25 სმ, 60 X 50 სმ და 50 X 45 სმ. დანარჩენი ქვები № 5, ყრუ კოშკამდე პატარაა - 30 X 20 სმ, 50 X 25 სმ და ა.შ.

გარე ზღუდე აქაც განგრეულია; სავარაუდო არე ზეგსებულია ალიზითა და ბათქაშით, რაც შიდა ზღუდის ნანგრევს წარმოადგენს. ეს ფენა შეიცავს IX-XI სს. კერამიკას. აქ ზღუდების შორის არე გაუქმებულია და ისე, როგორც სხვა მონაკვეთებში, ზედ გამართულია განვითარებული შესა საუკუნების ნასახლარები; ამ მონაკვეთში, შიდა ზღუდეზე, ჩადგმული იყო ორი ქვევრი. ერთი (№ 1) საკმაოდ ჩამტკრეულია, მეორის (№ 2) მხოლოდ ძირია<sup>61</sup> შემორჩენილი. ქვევრებს ჩაჭრილი აქენ აღიზი (ტაბ. XVII,2). როგორც ასლა ირკვევა, ასევეა თხრადის სამხ.- დას. ნაწილში - აქ ზღუდეზე თონე დგას (ტაბ.III,2).

№ 5, ყრუ კოშკი (ტაბ. XIX,1) ისევე, როგორც № 4 ასეთივე კოშკი, წინა მხარეზე სულ მორღვეულია (სიგანე - 7 მ); ნაგებია ისევე, როგორც № 4 კოშკი. მისი ჩრდ. ფრთის (ტაბ.XIX,2) შემორჩენილი სიგრძეა 2,4 მ, სიმაღლე - 1,6 მ, სიგანე-2 მ. ცოკოლის სიგანე - 22 სმ, ხოლო სიმაღლე - 60 სმ. ცოკოლი ნაგებია რიყის ქვით, არის მომცრო ზომის, მოყვითალო ქვებიც, შემართულდად ნახმარია ღულაბი. ცოკოლის ზემოთ კოშკი ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. არის ერთი მოყვითალო ქვაც (35-25 სმ). რიყის ქვის თითო მწკრივს ენაცვლება 3-4 რიგი აგური, პორიზონტალური წყობისა, ზემოდან კი აღვეს გაჯარი ალიზი, გამოწევარი აგურით მოპირკეთებული. შემორჩენილია აგურის (ზომ.21 X 5 სმ) 5 მწკრივი (სიგრძე - 70 სმ, სიმაღლე - 25 სმ). ასევეა ნაგები კოშკის სამხ.ფრთა. კოშკის შუაგული დაახლოებით 1 მ-ზე ამოვსებულია თიხატკებისათ. კოშკის თავის პრეპარაციასას გამოისახა თოხუთხა კოშკის კონტური, ე.ი. ისევე, როგორც № 4, ნახევარწრიული, ყრუ კოშკი, № 5, ასეთივე კოშკიც მიღდგმული ყოფილა თოხუთხა კოშკზე და ეს უკანასკნელი მასშია მოქცეული.

თოხუთხა კოშკის სამხ.კედლი გამოვაჩინეთ 2 მ-ზე (სიმაღლე - 60 სმ). აქ არის ორი დიდი გამოფენტული ქვა<sup>62</sup>. ჩრდ. კედლის გამოვლენილი სიგრძეა - 1,5 მ. სიმაღლე 30 სმ. კუთხები პილონებიან კედლელთან არ გამოვაჩინეთ, რადგან ციხის შიდა ტერიტორიაზე არ ვაპირებთ ამჯერად მუშაობას.

დასავლეთი, ფასადური კედლის სიგრძე 3 მ-ია მის ჩრდ. კუთხეში შემორჩენილია ერთი მოზრდილი. (28 X 33 სმ), მოყვითალო ქვა, რომელსაც ვერტიკალურად 5 პარალელური ჩანალარი აქვს. ეს უნდა იყოს ორნამენტულული ქვის ნაწილი, რომელიც ხელმეორედა გამოყენებული. ამ ქვის შემდევ დას. კედლელი რიყის ქვითაა შევსებული და გაჯარი შეღესილი, ცხადია, ალიზის გასამართვად. ეს მხარე ძალზე ჩანგრეულია.

№ 5 კოშკის ჩრდ. ფრთაში, თოხუთხა კოშკის ჩრდ. კედელთან ჩადგმულია

ქვერი (№ 4), ხოლო ქვერში – თონე<sup>63</sup>. თონე ამოერშინდეთ ბოლომდე; აღმოჩნდა შემორჩენილი (ტაბ. XX,1). ესაა რიყის ქვის წყობა დუღაბზე. აქ საძირკველი უფრო მაღალია (სიმაღლე - 1,3 მ), ვიდრე საშე. ნაწილებში, რაც გამოწვეული უნდა იყოს რელიეფით. ჩრდილოეთისაერთ რელიეფი დაბლება და საძირკველი უფრო მაღალზეა ამოვანილი. შიდა ზღუდე ძაღზე დარღვეულია. პილონებიანი კედლის დიდი, მოყვითალი ქვები უწესრიგობაა ჩაყრილი. მათი ამოღების შედეგად დარჩა ამოღრმავებული აღვილი და პილონებიანი კედლის საძირკველის ნაშთი – ესაა დუღაბზე ამოვანილი რიყის ქვები, რომლებიც აგურითაა შევხებული (ტაბ. XX, 2).

ეფიქრობთ, ეს შევხება ეკუთვნის იმ დროს, როცა თავდაპირველ ზღუდეს მიადგეს მეორე, ე.წ. შიდა ზღუდე; თავდაპირველი ზღუდე, ე.წ. პილონებიანი კედლი შევხებს, გაასწორეს, რათა ალიზის საყრდენი ყოფილიყო. პილონებიანი კედლის ნანგრევის შემორჩენილი სიმაღლე-45 სმ, სიგანე-80 სმ, გამოყენებული აფურის ზომა - 22 X 4 სმ. პილონებიან კედლამდე შიდა ზღუდის სიგანე - 1,2 მ.

№ 5, ნახვაარწრიულ ყრუ კოშკი მოქცეული ოხეკუთხა კოშკიდან ჩრდ. მიმართულებით პილონებიანი კედლი შემორჩენილია 6,2 მ. მანბილზე დაბლობით 1,5 მ-ზე იგი სულ ჩანგრეულია, ამიტომ აქ ყველაფერი ნათელი არ არის; მაგალითად: პილონებიანი კედლის წინ არის დიდი, დაუჭირული ქვა (70 X 50 X 45 სმ), რომელიც ლეპს აგურზე და დუღაბზე; ამის ქვეშ კაღვე დიდი, მოყვითალო ქვაა; ამ დიდი ქვის პირი ფასაღურია, ხოლო უკანა უსწორმასწორო. იგი თითქოს თავის ადგილას დგას, არ ტოვებს გადმოგარენილის შობეჭდილებას (ტაბ. XX, 2; XXI, 1). პილონებიანი კედლის ხაზი და ეს ქვა ერთმანეთს სცილდება. აქ შეიძლება ვიფიქროთ ორი რამ: ან პილონებიანი კედლი აქ ტეხილს აკეთებდა, ან ეს ქვა ეკუთვნის რაიმე საგებობას, რომელიც ზღუდის გაუქმების შემდეგა ჩადგმული; ეს საკითხი მაშინ უფრო გაირკვევა, როდესაც ციხის შიდა ტერიტორიაზე ვამუშავებთ.

№ 5, ყრუ კოშკის ჩრდილოეთი 4,5 მ. მანბილზე შიდა ზღუდის შემორჩენილი თავიდან 55 სმ სიმაღლეზე გამოვლინდა მასზე პერპენდიკულარულად მიღვმული, დუღაბზე ნაშენი რიყის ქვით ნაგები კედლის (სიგრძე - 2,2 მ, სიგანე - 60 სმ) ნაშთი (ტაბ. XXI,1). შემორჩენილია ორი წყობა. აქ, როგორც ჩანს, შიდა ზღუდეზე გარედან მიღვმულ ნასახლართან გვაქვს საქმე<sup>64</sup>. მიწა რბილია, არის ცეცხლის ძალი; ბევრი ნაკარი, ძელები, კერამიკა<sup>65</sup>. კედლებთან, ჩრდ. მხარეზე იდგა გამურული, დამტკიცებული ქოთანი<sup>66</sup>, ქურზე ნალისებური დანამერწო (ტაბ. XXI,2).

№ 5, ყრუ კოშკსა და აღნიშნული ნასახლარის კედლებს, უფრო ზუსტად ამ კედლის საძირკველს შორის ავიღეთ ფართობი (სიგრძე - 4,5 მ, სიგანე - 1,5 მ,

სიღრმე - 0,5 მ), რომელიც ალიზის ნაშალით ძალიან გამავრებულ ქვეღორდს შეიცავდა. ამ ფართობის აღვმისას, შეუ ადგილას, ზღუდესთან გამოჩენდა, ქვევრი, რომლის ნახევარი ზღუდის საძირკვლის ქვეშ იყო მოქცეული, ე.ი. შიდა ზღუდე ქვევრზე გადადიოდა (ტაბ.XXII). ქვევრი ღიადა, წითლად გამომწვარი, თითქმის ნახევარი აკლია; შემორჩენილი ს-0,9 მ, ღმ-1,1 მ; ძრი ამომტვრეულია; შიგ უყარა თავისივე და ჩალისფრად გამომწვარი კერამიკის ნატეხები, ცხოველის ძვლები და სხვ.<sup>57</sup> ქვევრის შემორჩენილი პირის დონეზე ამოვიდა სპილენძის მონეტა, რომელიც წარმოადგენს ქუფური ფელსის ნატეხს და მოჭრილია VIII ს. პირველ ათეულ წლებში.<sup>58</sup> ქვევრის ირგვლივ ფართობზე აგრეთვე ამოვიდა მინის ჭურჭლის ფური, მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის ნატეხები, რომლებიც IX-XI სს. განეკუთვნება<sup>59</sup>. არის გვანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკაც<sup>70</sup>.

აღნიშნული ქვევრი შიგ ჩაყრილი მასალითურთ ადრეული შეუ საუკუნეებისაა. იგი უნდა ეკუთვნოდეს იმ ნასახლარს, რომელიც გარედანაა მიღებული ეწ. პილონების კედელზე - თავდაპირველ ზღუდეზე; შიდა ზღუდე კი მასზე გადადის. აქ VIII ს. I ნახ. მონეტის აღმოჩენა მხარის უნდა უჭირდეს იმსა, რომ თავდაპირველი ზღუდე ამ დროსაა დანგრეული; ხოლო შიდა ზღუდის (რომელშიც მოქცეულია თავდაპირველი) წინ ფართობზე, მის ნანგრევში IX-XI ს-ის მასალების მოპოვება - ამ ზღუდის ფუნქციონირების ხანას.

№ 5 კოშკის ჩრდილოეთით (ტაბ. XX,1) შიდა ზღუდის შემორჩენილი სიგრძეა - 7,4 მ. მერე ჩანგრეულია და გრძელება ისევ საძირკვლის სახით (ს.-1,1-1,3 მ). აქ, პირდაპირ კლდეზე დევს ნაშალ-ნაყარი და რიყის ქები, რომლებიც მომრგვალებას აკეთებს, მასზე კი უტიხერო ალიზია (სიგრძე - 4,1 მ, სიმაღლე - 1,4 მ). შესაძლოა, აქ კოშკთანაც (?) გვქონდეს საქმე. ალიზი შეუჭრით 1 მ-მდე, რათა გამოგვეჩინა პილონებიანი კლდე (ტაბ. XXIII,1). აქაც გაირკვა, რომ ალიზი გადადიოდა და ფარავდა ამ კლდეს. პირდაპირ კლდეზე დევს აგრეთვე ორი მოზრდილი, დაკუთხული, მოყვითალო ქა, შუაში აგურის ნატეხებით (სიგრძე - 1,1 მ), ეს წყობა პილონებიანი კლდლიდან 1 მ მანძილზეა, კუთხების აკეთებს (1,5 და 1,3 მ. მანძილებზე და შეიძის ნანგრევის ქვეშ (კოშკის?). აქ იმ ზომამდებარებული დანგრეული, რომ რაიმეს გადაჭრით თქმა ძალზე ძნელია.

გაყვევით გამოკვეთილ კლდის ნაპირს საშ. მიმართულებით, ვთხარეთ 11 მ. მანძილზე. აქაც სულ ნანგრევია: დუღაბი, ალიზი, ქები. მასალა არეულია<sup>71</sup>. კარგად გამოკვეთა კლდის ნაპირი (ტაბ. XXIII,1). ალიზის ქვეშ (სავარაუდო კოშკთან), კლდის ქანზე იღო ღიაფრად გამომწვარი, კურზე შეკრილიანი, კოპქით შექული, სამტურა ღოქი (ტაბ.XXIX,2)<sup>72</sup>. გვიანანტიკური - ადრე შეუ საუკუნეების დასაწყისისა და მოყვითალო მოწითალო გამომწვარი ქვეცის ნატეხი<sup>73</sup>.

5 მ. წყვეტილის (ნანგრევის) შემდეგ პილონებიანი კლდე ისევ გრძელება 8 მ სიგრძეზე (ტაბ. XXIII,2) და ჩრდ.დას. კუთხეში ერწყმის გარე ზღუდეს (ტაბ.XXIV). შემორჩენილია მხოლოდ საძირკვლი, ღუღაბზე ნაგები რიყის ქა

(ს.-0,7 მ) და ერთი პილონი (სიგანე - 75 სმ), რომელზეც აღისა გადაჭის. ჩრდ.-დას. კუთხეში გარე ზღუდე ქვედაშე მაღალზეა შემორჩენილი, პირი თითქმის მოლესილი აქვს, რაც ყოველთვის ბაღებდა ეჭვს - აქ ციხეში შესასვლელი ხომ არ იყო. დავიწყეთ დაღრმავება: ავიღეთ ნაშალი, ბევრი სილა და ძალაშე არეული მასალა<sup>74</sup>. თანდათან გამოიკვეთა მაღალ ზღუდეზე მინაშენი (თუ მაღალი ზღუდეა ამაზე მიშენებული), რომელიც მიღებულია პილონებიან კადელზეც (ტაბ. XXIV). ვფიქრობთ, ეს ე.წ. მინაშენი უნდა იყოს შიდა ზღუდე, რომელიც წყვეტილის შემდეგ ისევ გამოვლინდა (სიგრძე - 1,6 მ, სიმაღლე - 2,4 მ). აქაც მხოლოდ საბრკველია შემორჩენილი. იგი ნაგება რიყის ქვით დაკამახე, შეგადაშიგ შეწყულია აგურიც (23 X 3 სმ), შეაში არის დიდი, მოყვითალო დაკუთხული, გამოყიტული ქვის კვადრაც (სიგრძე - 55 სმ; სიმაღლე - 40 სმ) ორივე საძირკველი დაძრებულია პირდაპირ კლდის ქანებე - თირზე<sup>75</sup>, რომელიც სამხ.-აღმისავლეთიდან ჩრდ.-დასავლეთისკენ არის დაქანებული (ტაბ.XXIII,1).

ჩრდ.-დას. კუთხეში ზღუდებისა და მათი შეერთების გამოჩენისას პილონებანი კედლის აღმ. მხარეზე ჩაიჭრა ციხის შიდა ტერიტორიის ნასახლარის ნაშთი (ტაბ.XXIII,2).

\* \* \*

ანტიკურ და აღრეული შუა საუკუნეების საქართველოში გაგრცელებული იყო გვემაში ოთხკუთხოვანი კოშკები, შემდეგ კი ჩნდება ნახევარწრიული მოყვანილობის კოშკებიც<sup>76</sup>.

რესტავრის ციხის (ტაბ.I) თავდაპირკველი ზღუდე, ოთხკუთხა კოშკებისურთ, აღმოსავლეთიდან მოყოლებული, მთელ სამხრეთ და დასავლეუ მხარეს არის შემორჩენილი; ჩრდ.-დას. კუთხეში კი იგი კოშკის ე.წ. გარე ზღუდეს. დასმხარეზე (XIII თხრილი) ზღუდესთან ერთად გამოვლინდა ორი ოთხკუთხა კოშკი (№ 4 და № 5 ნახევარწრიულ, ყრუ კოშკებში), აღმ.მხარეზე კი - ერთი, რომელზეც მიღებულია დიდი, ნახევარწრიული აღიაზიანი კოშკი. იგი ჯერ კიდევ 1959 წ. აღმოჩნდა, მაგრამ მისი რაობა მაშინ სწორად არ იყო გარკვეული.

რესტავრის თავდაპირკველი ზღუდის სიგანე - 0,9 მ.-ა. შემორჩენილი სიმაღლე ზოგ ადგილას 1,6 მ-ს აღწევს, ზოგან კი სულ იკარგება. შიგნითა მხრიდან მას მოყვანება არათანაბარი მანძილით (2,5 - 4,5 მ) დაშორებული პილონები, რომლებზეც ჩის საბრძოლო ბაქნები ყოფილა გამართული. ზღუდე ნაგებია შემდგანიარად; ერთმანეთს ენაცვლება დიდი, დაკუთხული, ყვითელი ქვების, რიყის ქვებისა და პორიზონტალურად დალაგებული აგურების მწკრივები; შეკავშირებულია დუღაბით. ოთხკუთხა კოშკები მოპირკეთუმულია მოყვითალო კვადრების პორიზონტალური რიგებთ; საძირკვლად გამოყენებულია რიყის ქვა დუღაბზე. კოშკები შიგნიდან აძირებული არ არის.

ოთხკუთხოვანი ფორმის კოშკები, მოპირკეთება ერთნაირი ზომის, პრტყელი ავადრებით, რომლებიც დალაგებულია მეტაც პორიზონტურ რიგებად და სხვა,

ჩვენში საქმაოდ ყოფილა, მაგალითად: არმაზციხე, წიწამური, გორის ციხე, (ქედა ფენა) სარკინე, უფლისციხე<sup>93</sup> და სხვ. VI ს. აღიზით აშენებენ უბინისის ცირის გრანიტულ ნაგებობებს<sup>94</sup>, დაახლოებთ იმავე დროს, ანალოგიური კონსტრუქციის ნაგებობები შენდება მცხეთაშიც<sup>95</sup>. აღიზისა უნდა ყოფილიყო ზუნანის ციხის პირვანდელი ზღუდე<sup>96</sup> IX ს. I ნახევარში აღიზის კადლები შემოუყვებოდა თბილისის ერთ ნაწილს - ისანს<sup>97</sup>.

როგორც ანტიკურ, ისე ადრე შეა საუკუნების აღიზის გამოყენების შემთხვევაში ისინი ერთმანეთთან შეკავშირებული იყო თიხის თხელი ფენით<sup>98</sup>. ჩვენოვის ცნობილი არ არის აღიზის დადგება გაჯზე, რაც გვერდება რუსთავში. საინტერესო სურათს იძლევა აღიზის აგურების ზომების შედარება; ანტიკური ხანის ძველებისათვის დამახსასიათებელია დიდი ზომის აგურები, კერძოდ, 50 და 52 სმ.<sup>99</sup> ურბნისისათვის - 47 და 48 სმ<sup>100</sup>. რუსთავისა კიდევ უფრო პატარა, ვიღრე ურბნისისა და ძალასან უახლოვდება თბილისის IX ს-ის. აღიზის აგურების ზომის: თბილისის აღიზის აგურების ზომა 35 X 35 X 8 სმ<sup>101</sup>, ხოლო რუსთავისა - 30 X 30 X 10 სმ. რუსთავის შიდა ზღუდებმ გვიჩვენა აგრეთვე, რომ გაჯზე დადგებული და თიხის თხელი ფენით გამოყოფილი აღიზის წყობა ერთდროულია. რუსთავის გაჯზე დადგებული აღიზის აგურის ზომებია 40 X 40 X 12 სმ, 40 X 30 X 10 სმ, გაჯის სისქე - 3-5 სმ.

პ. ზაქარაა აღნიშნავს, რომ აღიზი შედარებით შესაჩნიერა ანტიკური ხანისათვის, მერე კი მისი გამოყენება თანხაოთან კლებულობს და განვითარებული ფენიდანიშნის ხანაში უკვე არავინ მიმართავს<sup>102</sup>. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რუსთავის ნაქალაქარში განვითარებულ შეა საუკუნებიში დადასტურებულია საცხოვრებლები, რომელთა კდლების საძირკვლად რიყის ჭავა ჰქონდა, შემდეგ კი ამოვგანილი იყო აღიზით. თიხის კედლები შეიგნიან ილებელიდა თიხით ან გაჯით<sup>103</sup>. ლ. ჭილაშვილს შესაძლებლად მიაჩნია, რომ რუსთავში აღიზის კდლების აგება მიწის ძრების საწინააღმდეგო ღონისძიება იყო, რადგან რუსთაველებს მასალის გასაჭირი არ უნდა ჰქონდათ<sup>104</sup>.

პ. ზაქარაა ფურაღლებას აქცევს იმ გარემოებას, რომ აღიზი, საერთოდ მშრალ ადგილებში გამოიყენება, რომ იგი სინესტეს ვრ იტანს. საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით მშრალი ჰავა ქართლშია და სწორებ იქ არის გამოვლენილი აღიზის ნაგებობები. ამდენად, იგი თელის, რომ აღიზის გამოყენება იმ აღრეულ ხანაშიც ქართლში (და შეძლება კიდევ უფრო შემოვიდარგლოთ, მხოლოდ შიდა ქართლში) არის მოსალოდნენელი<sup>105</sup>.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, შიდა ზღუდე XI ს. ბოლოსთვის დანგრეული და ვაუქმებულია, რაც თურქ-სელჯუკების შემოსევას უნდა უკავშირდებოდეს. მისგან 5 მ-ის დაშორებით, XII ს.-ში აგძულია ეწ. გარე ზღუდე, ხოლო მათ შორის არე შევსებულია და გამოყენებულია საცხოვრებლად.

დას. ნაწილში ორი ზღუდის ერთდროული მოქმედება არ ჩანს, რაც აშკარავ ციხის აღმ. მხარეს.

XII ს. გარე ზღუდე აღნაგობით განსხვავდება შიდა ზღუდისაგან. იგი რიცხვის ქვეთ დუღაბზეა ამოვგანილი და გარეთა პირი შემოსილი აქვს აგურით შემოჩარჩობული, მომცრო ქვის კვადრებით. დას. მხარეს ზღუდის პერანგი მხოლოდ ალაგ-ალაგ არის შემოჩნდილი; დად ნაწილში ზღუდე მთლიანად გარღვეულია.

\* \* \*

განვიხილოთ რუსთავის ციხის დასავლეთი ნაწილში 1961-62, 1965 და 1973-74, წლებში აღმოჩნდილი მასალები. სულ აღმოჩნდა 1853 ერთულები არქოლოგიური ნივთი. როგორც კოველივის, დიდი უძრავლესობა კერამიკა - 1700 ერთული; აქედან: მოუჭიქავი - 1015, მოჭიქული - 685; მინისა - 67 ნატეხი, ლითონის - 15, ქვის - 9, ძვლის - 2, მძივი - 4, მონეტა - 3.

მოუჭიქავ კერამიკაში გამოიყო 5 ქრონოლოგიური ჯგუფი: გვიანბრინჯაო-აღრურებინის ხანის, გვიანანტიკური, აღრე, განვითარებული და გვანი შუა საუკუნეებისა (ამ უკანასკნელს განვიხილავთ ქვემოთ ნაგებობასთან ერთად).

გვიანბრინჯაო-აღრურებინის ხანას განვუთვნება 182 ნატეხი<sup>106</sup>. რა თქმა უნდა, მათზე ჩვენ ვერ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი მეტად მრავალფეროვანია (ტაბ.XXIX,1). საერთოდ, რუსთავში აღმოჩნდილი ამ ხანის მასალები უკვე საქმაოდ დაგროვდა და იგი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

შეტყობ საინტერესო და აღსანიშნავია რუსთავში გვიანანტიკური კერამიკისათვის დამახასიათებელი ნიმუშების აღმოჩენა. ერთი ასეთია მოზრდილი დოქტორი პირ-ფელი, კურიოსირი (04-74-1422). იგი ჩაღისეტრადა ვამოწმევარი, სამტკურა; კურის დასასრულიდან მუცელზე გარშმოულება კოპები (მათი მუქრივები აღმართ ქვემოთაც გრძელდებოდა), პირთან ერთად ამოუვანილია შევრელინი კური (ტაბ. XXIX,2). ეს ტიპი გვხვდება როგორც ნასახლარებზე, ისე სამაროვნებზე (სამთავრო<sup>107</sup>, კარსინისხვი<sup>108</sup>, IV ს.ცენა არავის ჩეობაში<sup>109</sup> და სხვა); რუსთავში იგი აღმოჩნდა ჩრდ.-ზას. ზღუდეებს შორის, კლდის ქანზე. კვიქრობთ, იგი გვიანანტიკური ხანის დასასრულს, უფრო კი IV ს.ს უნდა ეცეოვნოდეს.

ამავე ხანას უნდა მიღეულოს კიდევ ორი ნატეხი (04-73-551, 419); ერთი, ჰატარა, მუცელგამობრილი კოჭობისაა, დამზადებული მოვარდისხევრო, სუფორდ განლექილი თიხისაგან (ტაბ.XXX, 10, № 04-73-551). მუცლის შემორჩენილ ნაწილზე ამობურცული კოპების თრი რიგია, შიგნიდან ღრმა ჩანაკლევებით მოღებული; კური, რომელიც შუა მუცელზე ექნებოდა, მოტეხილია. ანალოგიური ერთულია და ორგურა კოჭობიც გვიანანტიკური ხანისათვის არის დამახასიათებელი (მცხეთა-სამთავრო<sup>110</sup>, ურბნისი<sup>111</sup>, ნემიხის სამაროვანი<sup>112</sup> და სხვ.).

აღრეული შუა საუკუნეების მოუჭიქავი კერამიკიდან აღსანიშნავია ე.წ. ლიაფრად გამომწეარი ჭურჭელი. იგი მრავალფეროვანად არის წარმოდგენილი. იყოფა

ოხელკედლიანებად და სქელკედლიანებად. მათში რამდენიმე საზეობაა/ სქელკედლიანებიდან უნდა აღვნიშვნოთ:

1<sup>კ</sup> კოჭობი, მრგვალმუცლიანია, დაბალი, ძირბრტყელი, უფრო, პირმოწერილი (ტაბ. XXXI,I)<sup>113</sup>. გამომწვარია მოვარდისფრო-ჩალისფრად; ეწ. წყლისებური ორნამენტით შეძეულ ტანზე ოთხი, ღრუბა ჩანალარი შემოუყვება. ორნამენტი ძალზე გადალესილია. ამ ტიპის ჭურჭელი საკამაოდ გვხვდება რუსთავში ნაქალაქარზეც და ნაციხარზეც, აგრეთვე უჯარმაში, ლოჭინში, ურბნიში. ერთ ნატეხს ლოჭინიდან ქართული ასომთავრული წარწერის ნაწყვეტი და ბოლნური ჯვარი აქვს გამოსახული<sup>114</sup>. ურბნისში აღმოჩენილი „წყლისებური“ ანუ ხშირი, ერთმანეთში ჩამჯდარი ტალღური ორნამენტით შეძეული ჭურჭლების ნატეხები V-VI სს-ით თარიღდება<sup>115</sup>. ასევე V-VI სს-ი უნდა დათარიღდეს რუსთავში აღმოჩენილი კოჭები და მათი ნატეხები.

2. ჯამები (6 ნატეხი)<sup>116</sup> დამზადებულია კარგად განლექილი მოვარდისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი თიხისაგან. ზედაპირი ზოგჯერ გაპრიალებულია. ჯამები პირგადაშლილია; დაბალი, უმეტესობა-ბრტყელი ძრინით. ზოგს ძრინი შემოჭრილი აქვს;

ერთი ძირი შედრუკილი და ქუსლიანია (ტაბ XXX, 6, 7, 12, 13, 15-19). ამგვარი ჯამები არის უჯარმაში, მცხეთაში, თბილისში<sup>117</sup>, თელავში<sup>118</sup>, ანალოგიურადა აღმოჩენის ვითარებით რუსთავების ჯამები ზოგადად V-VIII სს. თარიღდება.

3. პირმოწერილი ჭურჭლები<sup>119</sup>, დაბალი, მრგვალმუცლიანები, რომელთაც პირთან ჭდეული ორნამენტი აქვთ (ტაბ. XXX, 2,4). ანალოგიური ჭურჭლები გვხვდება რუსთავშივე, თბილისის განათხარში. იგი ძირითადად დამახასიათებლად მაჩნიათ V-VII სს<sup>120</sup>.

4. ბაგიები - შემორჩენილია პირ-კედლის ნატეხები გადმოსაღვრელი ტუჩით<sup>121</sup>. ტუჩი ბაკოსთან ერთად არის გამჭვანილი და მოკლეა (ხევრ. 2 სმ). ბაკოზე ტუჩიდან მოშორებით კოპი აზის. ზედაპირი ორივე მხრიდან დახაზულია. გამომწვარია მოყვითალოდ.

5. ღოქები, ღიღი ზომის, პირგადაშლილი, ყელწიბოანი, ერთი ან ორი ფურით (ტაბ. XXX, 9, 11). ძირი ბრტყელი და შემოთლილია. დამზადებულია ძალიან კარგად განლექილი, მოყვითალო-მოთეთრი გამომწვარი თიხისაგან<sup>122</sup>. ამგვარი ღოქები მრავლად არის წარმოდგენილი თვით რუსთავში, მცხეთაში, ურბნისში<sup>123</sup>. აღსანიშნავია, რომ ყელწიბოან ერთყურა და ორყურა დადი ზომის ღოქებს კხვდებით V-VI სს-ში გავრცელებულ წვრილ, ერთმანეთში ჩამჯდარ ტალღურ-ზედაპირიან ჭურჭლებთან ერთად.

გეხვდება აგრეთვე უფრო პატარა ზომის ღოქების ნატეხები; ერთზე შედარებით დაბალი წიბოა (04-74-1659); მეორეს პირს ზემოთ აზიდული ყური ამშვენების (04-74-1129); ხსვები - გაპრიალებულია (04-74/1627, 1629) და ა.შ.

ყველა თხელკედლიანია, გამომწვარი ღიაფრად, გაპრიალებული; ოისა კარგია განლექილი, მტკიცე, რაც დამახასიათებელია IV-VI სს. ჭურჭლებისათვის<sup>124</sup>.

თხელკედლიანი, ღიაფრად გამომწვარი ჭურჭლებისათვის, გაპრიალებულ ზედაპირთან ერთად, დამახასიათებელია კანელურებითა და კოპებით შექმობა. შეა საუკუნეთა საქართველოში კოპებიანი ჭურჭელი. საქმაოდ გავრცელებული ჩანს. თვით ხერხი კოპებით ჭურჭლის შექმობისა უფრო ძველად, გვიანამტიკურ ხანაში ყოფილა გავრცელებული. ჩვენში აღმოჩენილი იმ დროინდელი ჭურჭელი დატვირთულია ასეთი კოპებით, ხოლო შეა საუკუნეების ჭურჭლებზე იგი ძალიან ზომიერად არის წარმოდგენილი.

ღიაფრად გამომწვარი თიხისაგან და დამახასიათებელი შემცულობით (გაპრიალება, კანელურები, კოპები და სხვ.). ეტყობა, ძირითადად თხელკედლიან, საგანგებოდ ლამაზი და მოხდენილი მოყვანილობის, მომცრო ზომის ჭურჭლებს ამზადებოდნენ; ასეთებია: სასმისები, ხელადები, ტოლჩები, კოჭები, გვედება მოზრდილი დოქებიც. ამგვარი ჭურჭლების ნატეხები მრავლადაა ჩვენს მასალებში<sup>125</sup>.

წითლკაციანი, მოუკიდვად კრამიკიდან აღსანიშნავია საქართველოში ნაკლებად გავრცელებული, ე.წ. ღულიანი ჭრაქების აღმოჩენა დას. უბანზე. გვაქვს ჭრაქის ღულა და ერთი-მოელი ჭრაქი<sup>126</sup>. იგი (ტაბ. XXXII, 8) წითლადა გამომწვარი, ახლა გამურულია; მრგვალი, გერლულიანი მუცელი აქვს, პირი გადაშემოილი, პირთან ერთად გამოყვანილია მრგვალი უფრო, რომელიც შეა მუცლამდე ჩამოდის, ახლა მოტეხილია; შეგ დამწვარი პატრუქე იყო.

ყველაზე მეტი ღულიანი ჭრაქი აღმოჩენილია თელავში, რასაც აზერბაიჯანთან ტერიტორიული სიახლოესი სსინან; აქვა აღმოჩენილი ამგვარიცე მოჭიქული ჭრაქიც, რომელიც ერთადერთია საქართველოში<sup>127</sup>.

ღულიანი ჭრაქები გაბატონებულ ტიპს წარმოადგენს აზერბაიჯანში, კერძოდ, ბათლაკანში (ორენჭალა). იგი გავრცელებულია როგორც IX-X, ისე XI-XIII სს-ში<sup>128</sup>. IX-X სს-ში ამგვარი ჭრაქები გავრცელებული იყო მთელ ა/კავკასიაში, ირანის ჩრდ. რაიონებში, ე.ი. იქ, საღაც შეა საუკუნეებში ნამდილად გაპტონდათ ბაქოს ნავთი<sup>129</sup>. შედარებით აღრიცხულ ჭრაქებთან, განვითარებული შეა საუკუნეების ორენჭალას ჭრაქები თხელკედლიანია, უფრო მომცრო ზომისა, რასაც უკავშრიულ ნავთის ხარისხის გაუმჯობებებსებას<sup>130</sup>.

რუსთავის ციხის დას. უბანზე აღმოჩენილი ჭრაქები უფრო IX-X სს-ს უნდა ეყუთვნოდეს, რასაც გვაფიქრებინებს მათი აღმოჩენის პირობებიც. განვითარებულ შეა საუკუნეებში კი, როგორც ცნობილია, მთელ საქართველოში გაბატონებულია ნიჭირისებრი მოჭიქული ჭრაქები.

გვაქვს ადრე შეა საუკუნეების ქვევრების ნატეხებიც. განსაკუთრებით საინტერესოა შედა ზღუდის ქვეშ მოქცეული ქვევრი, რომლის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ. მისი თარიღი VIII ს-ს აქეთ არ გაღმოვა.

ადრე შეა საუკუნეებს განეკუთვნება სამშენებლო ქრამიკა - აგური, კრამიტი,

რომელთა შესახებ გზადაგზა აღვნიშნავდით. განსაკუთრებით საინტერესოა კრამიტები (20-მდე ნატეხი)<sup>131</sup>. ისინი გამომწვარია მოვარდისფრო-მოწითალოდ, დამახასიათებელია შალალი ღობე (ტაბ. XXXI, 2-5). უმეტესობა შედებელებია წითლად, ზომებით ისინი „ანტიურ სტანდარტს“ უახლოვდება. მოლიანად შემორჩენილი კრამიტი არც ერთი არ არის. ღობე კა სრულად გვაქვს. ღობის ს-5-7 სმ-ა წითლად შეღებილი კრამიტების ღობის ს. - 6,2-7 სმ; ანალოგიური ზომების კრამტიები გვხვდება ურბნისის აღრეული შუა საუკუნეების ფენებში<sup>132</sup> და სხვ.

განვითარებული შუა საუკუნეების მოუჭიქავ კერამიკაში გამოიყო წითლად და ღიაფრიად გამომწვარი კურამიკა. დიდ უმრავლესობას შედგენს წითლად გამომწვარი კურამიკა, რომელშიც დარიმნულების მიხვდვით, გამოიყო რამდნიმე ჯგუფი: საოჯახო-სამზარეულო, სამურნეო, საგანგებო და სამშენებლო.

საოჯახო-სამზარეულო კრამიკიდან ფველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია ღია-პატარა ქოთნები და ქაბ-ქოთნები. ქოთნებიდან<sup>133</sup> გვინდა გამოყორთ ერთი ჯგუფი<sup>134</sup>, რომელსაც პირი ვადაშლილი, მუკელი კა გამოიტენილი აქვს, ყური პირთან ერთად არის ამოვანილი და მასზე, ზემოდან ნალისებური დანაძრული აქვს (ტაბ. XXXIII, 6). ასეთი ქოთნები ნაციხვარის სხვა უბნებზეც გვხვდება<sup>135</sup>. ისინი შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი და, ვითქმოთ, უფრო XI ს-ში უნდა იყოს გავრცელებული, რასაც მხარს უჭერს მათი აღმოჩენის პირობებიც. XII-XIII სს-ში კი გაბატონებულ ტიპს წარმოადგენს სამკუთხა და შეკრილებულიანი დასალი, ეწ. ქაბ-ქოთნები<sup>136</sup>, რომელიც შემცულია ამონაღარებითა და ამონაჩხვლეტებით. ისინი მრავლად არის წარმოდგენილი XII-XII სს-ის ფენებში. (ტაბ. XXXIII, 1, 2, 3, 5). აღსანიშნავია ერთი ქოთანი, რომელიც ინკრუსტირებულია მომწვანო ჭიქურის ნაღვენთებით (04-74-896).

გვაქვს ნაირ-ნაირი სარქეელები<sup>137</sup>, მათი უმეტესობა ქოთნებსა და ქაბ-ქოთნებს ეყუთვნოდა. ზოგიერთი, განსაკუთრებით დიდი ზომის სარქეელი<sup>138</sup> დერგისა და ქალისა იქნებოდა. ქოლებიც კარგადა წარმოდგენილი, ზოგი სალა, ზოგი ტალღური ხაზებით შემცული (ტაბ. XXXIII, 9-11)<sup>139</sup>.

ლანგრის ორი ნატეხია<sup>140</sup>, ბალისა კა სამი<sup>141</sup>. კოკებისა უმეტესად პირ-ელის ნატეხებია; პირი სწორია, განიერი ყური პირიდანვე იწყება (ტაბ. XXXIV, 1, 3, 6)<sup>142</sup>; დოქები - ზოგი მუცელგამობერილია; დაბალი; ზოგი-უფრო მაღალი და მოგრძო ტანისა; ზოგს სამტურა პირი აქვს (ტაბ. XXXIV, 2, 7, 9, 10, 11)<sup>143</sup>. ხელადები უმეტესად მსხლისებურია, ტიპიური განვითარებული შუა საუკუნეებისთვის<sup>144</sup>. გვაქვს აგრეთვე წერნაქანი ნატეხები, რომელიც დოქებს ან ხელადებს უნდა ეკუთვნოდეს. მაგრამ ფორმებზე კერაფერს ვიტყვით.

აქვე აღნიშნავთ ერთ ჯგუფს - ღოქების, ხელადებისა და ჭინჭილებისა, რომელებიც წითლადაა გამომწვარი, გარეთა ზედაპირზე მოთეთრო-მოყვარალო ანგობა უსევა და მოხატულია შავი და წითელი საღებავით. ასეთი ათიოდე ნატეხია<sup>145</sup>.

ამგვარი ჭურჭლები მრავლად გვხვდება რუსთავშივე ნაქალაქარზეც<sup>146</sup>, თელავში<sup>147</sup>, სიონში<sup>148</sup>, გუდარებსა და თბილისში<sup>149</sup>, არის ორენფალში<sup>150</sup>.

სამეურნო დანიშნულების ჭურჭლებიდან დიდი რაოდენობითაა წილიად ან მოწითალო- მოყავისუროდ გამომწვარი ქვერის და ქუცოს ნატეხი<sup>151</sup>. ზოგჯერ გამოწვის ზარისხი კარგი არ არის. ძირები ბრტყელია, პირი ბაკოიანი, ტანი შემკული აქვთ სადა ან დაკეპნილი სარტყელებით.

ღერგის 86 ნატეხია. ამთვან უძრავლესობა<sup>152</sup> მიეკუთხნება რუსთავული დურგების სპეციალურად შესწავლისას გამოყოფილ I ტიპს; მათვაის დამასახითებელია მეტწილად 4 ეური, სპირალური დანაძრწით დამშეცნებული (ტაბ. XXXIII, 8)<sup>153</sup>. I ტიპში შედის ამოტვიფრული სახეებით შემკული ღერგებიც (ტაბ. XXXIV, 12)<sup>154</sup> II და IV ჯგუფებს განკუთხნება დას. ნაწილში აღმოჩნდილი ნატეხები<sup>155</sup>. ზემოთ აღნიშნული ყველა ღერგი XII-XIII სს-ითა დათარიღებული<sup>156</sup>, რაც არ ეწინააღმდეგება XIII თხრილზე მათი აღმოჩნდის პირობებსაც. ღერგის ერთი ნატეხია (რ-62-4586), რომელსაც დაკეპნილი სარტყელი შემოუყვება (II ტიპის მუ-2 ქვეტიპი), თარიღდება XII-XIII სს<sup>157</sup>. არის ღერგის ერთი ნახტოც, მოყვითალოდ გამომწვარი (რ-62-4476), გამოწვამდე გარედან საკმარი დაუდევრად ამოღარულია აღმაცერი, ურთისოფაგამკვეთი ხაზები და გარშემოუყვება ტლანქა, ასევე დაჭრული, სარტყელი. ამ ნატეხისათვის ანალოგია ჩვენთვის უცნობია.

საღლვებელი - 3 ნატეხი მიეკუთხნება დიდი ზომის საღლვებელებს. შემორჩენილია კედლის ნატეხები ნახვრებითურთ და დიდი მორკალული ყურით<sup>158</sup>, სამი კი-პატრა ზომის, აღბათ, საოჯახო საღლვებელებისაა<sup>159</sup>. მათ ქლისებრი მოყვანილობა აქვს. დამასახათებელია ძირზე, შიგნიდან თითო ან სამი დიდ-პატარა შვერილი (ტაბ XXXIII, 12) გვაქს ე.წ. ტაფისებრი ჭურჭლის (04-74-1069) და სასაკმელის (04-74-1202) ნატეხი. გვინდა აღვნიშნოთ წითლად გამომწვარი თონის ორი ნატეხი. (რ-62/4714, 4815).

სამშენებლო კერამიკიდან წარმოღვენილია განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამასახითებელი დაბალ-ღობანი კრამიტები<sup>160</sup> და მიღები (04-73-446). აქე აღვნიშნავთ ცისფერჭილებურიან პრიზმულ შორენკეცებს (04-74/970; 1459).

განვითარებული შუა საუკუნეების, ღიაფრად გამომწვარი კერამიკიდან წარმოღვენილია მისი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო სახეობა - კანელურებიანი სასმისი, რომელიც ჩვენ ქართულ ტიპად მიგვაჩნია. აქე აღვნიშნავთ, რომ ესეც და, საერთოდ, ღიაფერის თხელკედლიანი ნაწარმი, რომელიც როულ ტექნოლოგიას მოითხოვს და ამიტომ ძვირად ღირებული იქნებოდა, საკმარი შეძლებულთა ტუთვილებას უნდა წარმოადგენდეს<sup>161</sup>. აღბათ, ამიტომა იგი ასე მცირერიცხოვანი წითლკეცალ კერამიკასთან შედრებით.

XIII უბანზე კანელურებიანი სასმისის 2 ნატეხია: პირისა (რ-62-4582) და კედლის, ჭურის ნაშთით (რ-65-6212). დამზადებულია კარგად განლექილი, საღლისფრად გამომწვარი თხისაგან, ზედაპირი მცირდე გაპრიალებულია. ამ ტიპის

სასმის ს შესლისებრი ფორმა, ბრტყელი ძირი და გამოყოფილი ჭუსლი აქვს; პირი გოფრირებულია, ყური პირს ზემოთაა აზიდული, ტანზე კანელურები დაუსავადა. რესტავრაცია ასეთი სასმისები გვხვდება დანაისისა და თბილისში<sup>162</sup>, სიღნაურეში<sup>163</sup>, ყველაზე დიდი რაოდენობით კი გუდარებში<sup>164</sup>, ეს სასმისები XII-XIII სს-ით თარიღდება. აღვინიშნეთ, რომ ამ ხანის საქართველოში კანელურებით სხვა ფორმის ჭურჭლებსაც ამჟობდნენ, მათ შორის მოჭიქულსაც.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი ერთი ჭურჭელი - სასმისი „მარანი“, რომლის ანალოგი ჩვენთვის ცნობილი არ იყენებულია კარგად განლექილი, ხალისერად გამომწვარი თიხისაგან. შემორჩენილია პირვერის ნატეხი, 3 ფინჯანით და ფურით (ტაბ. XXXII,9). შუცულვამობერილია, ფართო პირი მცირედ გადამდიდრდი აქვს; ბრტყელი ფური პირთან ერთადაა ამოყვანილი; ზემოდან ვიწრო ზოლი აქვს დაძერწილი; ჭურჭელს უნდა ჰქონდა მეორე ფურიც და კიდევ - 3 ფინჯანი მოპირდაპირე მხარეს. ფინჯანები ერთმანეთთან მრგვალი ნახვრეტებითაა დაკავშირებული, ზიარი ჭურჭლის პრინციპით. შიგნითა პირზე ნახვრეტებამდე თეორი ანგობა უსივა. საერთოდ, ძალის კარგი ნახელავია. მარნის შემორჩენილი სიმაღლეა - 10 სმ; პ.დ.მ. - 11,5 სმ; ყურის სიმაღლე - 9 სმ, ელისა - 1,8 სმ; ფინჯანები ქვემოთკენ მცირედ გაგანიერებულია. მათი სიმაღლეა - 3,5 სმ, პ.დ.მ. - 3 სმ.

საინტერესო და აღსანიშნავია შავი და წითელი საღებავებით მოხატული, თხელკედლიანი დოქები და სასმისები, რომელთაც კეცი მოყვითალოდ. აქეს გამომწერარი<sup>165</sup> და არ სჭირდება ზემოდან თეთრი ანგობის გადასიმა, როგორც წითელკეციან, ამგვარად მოხატულ ჭურჭლებს. ესენი რესტავრაციული XI ს. გვხვდება.

განვითარებულ შუა საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებულია შედარებით სქელკედლიანი მოყვითალოდ გამომწვარი თიხის დოქები. ერთ ასეთ ტიპს შეადგენს შუცლიანი, ყლვიწრო და ძაბრისებრ პირველაშელილი დოქ-პტარა დოქები, რომელთაც მეტწილად ყლოში დაჩრდებული ტეიდე ქვს დატანებული<sup>167</sup>. ერთი ასეთი დოქების ყვლი, შეიძნახვრეტიანი ძვილით, XIII უბანზეც აღმოჩნდა (რ-62-4533).

საკმაოდ გავრცელებული ჩანს ჩაიღნისებრი ჭურჭელი, ანუ მიღნისკარტინი დოქი (ვ. ჯაფარიძე ამ ტიპს „ლულან ზელადას“ უწოდებს). ერთი ასეთი დოქი (ტაბ. XXXIV, 13) აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეების მასალებთან ერთად<sup>168</sup>. ამგვარი ჭურჭელი ნაპოვნია ძველ განჯაში და ორქებალაში<sup>169</sup>, აგრეთვე, სომხეთში<sup>170</sup>. ეს ტიპი მოჭიქულ კერამიკაშიც ყოფილა გავრცელებული<sup>171</sup>.

მოჭიქულ კერამიკაში გამოიყოფა რომ ქრონოლოგიური ჯგუფი: ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეებისა ადრე შუა საუკუნეების მოჭიქული ჭურჭელი IX-X სს-ით თარიღდება<sup>172</sup>. იგი წარმოდგენილია ჯამების სახით.

მათვის დამახასიათებელია სუფთად განლექილი მოვარდისფრო-მოყვითალო თიხა, დაბალი ბორბლისებური ჭუსლი. XIII უბანზე გვხვდება ყველა ტიპი

ჯამებისა, რომლებიც ამ ხანას განვითარება. ასეთებია: შიშველ კეცზე თვორი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამები<sup>173</sup>. შიშველ კეცზე ფერადი და თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული და უფერო, კურინტი ჭიქურგადავლებული<sup>174</sup>; ოთორ ანგობზე ფერადი ნაღვენთებით შემკული ჯამები<sup>175</sup>, ზოგზე შექმნილია ფოთლები, ზოგზე უბრალოდ გაღვრილი ზოლება. ერთი ასეთი გარედანა მოჭიქული (04-74-951). არის ოთორი ანგობით დაფარული და მწვანედ მოჭიქული ჯამები (4 ნატები)<sup>176</sup>, მოვარდისფრო ანგობით დაფორული, მერთალი ამონაკარტებითა და ფერადი ნაღვენთებით შემკული ჯამები<sup>177</sup>. ეს ტიპი XI ს-ში გადმოდის. უნდა აღვნიშნოთ ერთი ჯამი<sup>178</sup>, რომელიც გამოიჩინება არა მარტო რუსთავის, არამედ საქართველოში აღმოჩენილი ამგვარი ჯამებისაგან. აღმოჩენის პირობების მიხედვით იგი IX-XIIს-ით. (განჯიან-ალიზანი ფენა) უნდა დათარიღდეს, უფრო კი XI ს. ნაციონალის აღმ. ზღვედესთან (თხრილი VI, XII) ნაპოვნია აგრეთვე ამგვარი ნატებები<sup>179</sup>. ანალოგიების მიხედვით (ბიზანტია, სომხეთი)<sup>180</sup> ისინი შემოტანილი უნდა იყოს.

განვითარებულ შეკა საუკუნეებს განვითარება მოჭიქული ჭურჭლის დიდი უძრავლესობა. აյ წარმოდგენილია როგორც ერთფრად მოჭიქული, სადა ან ამოკაწრული ორნამენტით შემკული ჯამები, ასევე მრავალუერადები, აგრეთვე, ფუნჯით მოხატულები.

გვაქს მწვანედ, ცისფრად, ბადრიჯნისფრად მოჭიქული სადა ჯამები<sup>181</sup>, ზოგჯერ ისინი შემკულია ამოკაწრული ორნამენტით<sup>182</sup>. თეთრი ანგობით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამების 22 ნატებია<sup>183</sup>. უმეტესად გვხვდება ეწ. „ანგობის ფაფილები“, - „გულები“; არის ბრტყელი სალტებისაგან შედგენილი და „მოძრაობის ხაზებით“ მოხატულებიც<sup>184</sup>. ამგვარ ჭურჭლებს ამზადებდნენ XI-XII, უფრო ზუსტად კი - XII-ში<sup>185</sup>.

მრავალფრად მოხატული და უცერო ჭიქურით დაფარული ჯამებიდან გვაქს გეომეტრიული და მცნარეული ორნამენტით შემკული<sup>186</sup>, ფრინველის<sup>187</sup> და ცხოველის<sup>188</sup> გამოსახულებიანი.

გამოიჩინეა ერთი ფრინველიანი (მოყვანილობით, მთელი ტანის ხალგათ შემკაბით) ჯამი (04-73-430) არა მარტო რუსთავის, არამედ სხვა ნაქალაქარებისგან მომდინარე ამგვარივე ჯამებისგანაც. იგი აღმოჩენის ვითარებით, XIII ს. II ნასეურით თარიღდება.

ჯამების ერთ ნატებზე შემორჩენილია ადამიანის - მამაკაცის გამოსახულების ნაწილი, მარცხნა ხელი მელაქში მოხრილი და გაშვერილია (რ-65-6183). ნაციხარზე გვაქს კიდევ სამი ნატები მამაკაცის გამოსახულებიანი ჯამებისას, რომელთა ანალოგური გამოსახულება სხვაგან არ გვხვდება, არც საქართველოში და არც მეზობელ ქვეყნებში<sup>189</sup>.

მრავლადაა წარმოდგენილი გარედან ერთფრად - ცისფრად, მწვანედ, ბადრიჯნისფრად მოჭიქული, უმეტესად, სადა ჭურჭლი, ზოგჯერ კი ამოკაწრული

ორნამენტით შექული ღიღდ-პატარა ქილები, ორფურა ქოთნისებრი ჭურჭელი და სხვა<sup>200</sup>. ასევე მრავლადა სამარილისა<sup>201</sup> და ნიკარისებრი ჭრაქის ნატეხი<sup>202</sup>.

ფაიანსის ნაწარმი წარმოდგენილია ორი ნატეხით. ერთი (რ-61-4211) მიკუთხნება რუსთავში აღმოჩენილ ფაიანსისი ნაწარმის შესწავლისას გამოყოფილი მე-7 ჯგუფის მე-2 ქვევაუშა - ქ. რეის ნაწარმია, თარიღდგბა XII-XIII სს-ით<sup>203</sup>, მეორე (რ-62-4396) კა -I ჯგუფის ბ. სახეობას, რომელიც XIII ს. I ნახევრით თარიღდგბა<sup>204</sup>.

მინის ნაწარმი უმეტესად ჭურჭლისა და სამაჯურების ნატეხებითაა წარმოდგენილი, სულ 70-მდე. ჭურჭელში ბევრია პატარა, უსახური ნატეხი.

აღრულ შუა საუკუნეებს ეკუთვნის მხოლოდ ორი ნატეხი. ერთი ლამპრის ფურია (04-74-1492); განსაკუთრებით აღსანიშნავია შეორე, რომელიც აგრეთვე ლამპრისა უნდა იყოს (04-74-886). ეს არის მომწვანო მინის პირ-კედლის ნატეხი (ტაბ. XXXII, 6), რომელსაც პირი შეინიშნავს აქვს ჩაკეცილი, პირიდანვე ქლელზე გრძიგიკალურად დაღლობილია დაკავშირდი სარტყელი, რომელიც ბურთულა ფეხით მთავრდება, რაღაც ჭურჭლის კადელი ბოლომდე აღარ კომელდგბა (კადელი უხვევს დაღლობილ ზოლზე, კბილანები რომ მთავრდება). ეს ნიმუში უნდა განეკუთვნებოდეს ბუდეში ჩასაღმელ ლამპრებს, მისი ზუსტი ანალოგი ჩვენ, ჯერჯერობით, არ ვიცით<sup>205</sup>. აღმოჩენის ვითარებით ორივე ნატეხი IX-XI სს-ით თარიღდება.

რამდენიმე ნატეხი მიკუთვნება რუსთავის მინის ნაწარმის შესწავლისას გამოყოფილ განვითარებული შუა საუკუნეების სასმისთა ზოგიერთ ტიპს<sup>206</sup>. I ტიპის, ვიწრო ჭიქისებრი, მირზე სარტყელიანი სასმისის 2 ნატეხია (ტაბ. XXXII, 7)<sup>207</sup>, III ტიპის -ჭიქისებრი სასმისის ძირ-ქუსლის 2 ნატეხი (რ-62-4518, 04-74-1828); ამავე ან II ტიპის ე.წ. ძ. ძაბრისებრ სასმისებს უნდა ეკუთვნოდეს 5 ნატეხი ტალღური პირ-კედლებისა (ტაბ. XXXII, 1,2)<sup>208</sup>. XIII უბანზე აღმოჩენილია მინის შიბაქის ნატეხიც (რ-61-4234)<sup>209</sup>.

სამაჯურები შედარებით მრავალრიცხოვანა (40 ნატეხი), გამოიჩინა მრავალუეროვნებითაც. უმეტესობა მრგვალგანივევთიანია, სადა<sup>210</sup>, ორი - ცისფური, დახშული მინის ე.წ. პასტისაა (04-74/700, 965). მრავალადა გრეხილი სამაჯურები: გვხვდება წერილად და მჭიდროდ გრეხილი<sup>211</sup>, მათ შორის აღსანიშნავია ცასფრი პასტისაგან (რ-61-4229) დამზადებული (ტაბ. XXXII, 4). არის წვრილად და გაშლილად (ტაბ. XXXII, 5)<sup>212</sup>, მსხვილად და გაშლილად გრეხილი (ტაბ. XXXII, 3)<sup>213</sup> სამაჯურები. ყველა ეს ტიპი გავრცელებულია IX-XIV სს.<sup>214</sup> XIII უბანზე აღმოჩენილი სამაჯურების აღნიშნული ტიპების ზოგიერთი ნიმუში<sup>215</sup>, აღმოჩენის ვითარებით, აღრე შუა საუკუნეების დასახრულს მიეკუთვნება, დიდი უმეტესობა კი - განვითარებულ შუა საუკუნეებს.

ამ უბანზე აღმოჩენილია აგრეთვე მხოლოდ ამ ზანისათვის - განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ტიპები, როგორიცაა: კბილანებით (რ-

62-4436) და ძაფებით შემკული<sup>216</sup> სამაჯურები; აგრეთვე სიმეტრიულად და ინტერვალებით გრეხილი სამაჯურები<sup>217</sup>, რაც განსაკუთრებით რუსთავეთის არის დამახასიათებელი.

აღსანიშნავია, XIII უბაზე მწვანე მინის ზოდის ნატეხის (რ-62-4517) აღმოჩნა, რაც ერთ-ერთი დამადასტურებელია რუსთავის ციხეზე (ისევე, როგორც ნაქალაქარზე) მინის წარმოების არსებობისა.

მძიე 5 ცალია: მინის (რ-61-4250), ფაიანის (რ-62-4620), სარდიონისა (04-74-699) და თიხის (რ-61-4240). ეს უკანასკნელი ნახევარფაბრიკატის შთაბეჭდილებას სტოვებს, ცისფერი საღებავის კვალია შემორჩენილი, აღმათ მოჭიქვა უნდოლათ.

რკინის ნაწარმი წარმოდგენილია დიდ-პატარა ლურსმნებით<sup>218</sup> და სატევრისა თუ დანის პირის ნატეხებით (რ-62/4327, 4394). გვაქვს სპილენძისა თუ ბრინჯაოს ნივთები - ფირფიტა, სამუჯური, ლილი<sup>219</sup>, ობსიდიანის (რ-62/4435, 2519), კრამიკული (რ-62-4462) და რკინის (რ-61-4225) წილის ნატეხები.

\* \* \*

1974 წ. რუსთავის ციხის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილში გაიწმინდა ზღვდეზე შიგნილან მიღმული 4 ოთახანი ნაგებობა, რომელიც გამართულია 1 მ სისქის განვითარებულ შუა საუკუნეების ნაყარზე. ნაგებობის წინა მხარე ნაწილობრივ მორდვეულია (ტაბ. XXV, 1).

№ 1 ოთახის მხოლოდ ჩრდ.-აღმ. ნახევრის ნაწილია შემორჩენილი. ოთახის ნაშთი იწყება მაღალი ზღვდის შემორჩენილი კიდედან, მის გასწვრივ 2,4 მ მანძილზე. სწორედ ამ ჩამონანგრევში არის შემორჩენილი აგურით ამოვგანილი და ამოლებისილი ბუსარი<sup>220</sup>, რომელთანაც აღმოჩნდა პატარა დოქი და ჯამი. ნაწილობრივა შემორჩენილი ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.- დას.<sup>221</sup> კედლები, რომლებიც ერთმანეთთან კუთხეს აკეთებს. ისინი ნაგებია რიყის ქვით და შესანიშნავადა გალესილი (ტაბ. XXV, 2). იატაკზე აგურფენილია, კარგად დაგვეული (აგურის ზომა 21 X 22 და 23 X 23 სმ).

№ 1 ოთახის ჩრდ.-აღმ. კედლები მას ყოფს № 2 ოთახისგან. ეს საერთო კედლებია. № 2 ოთახს მთლიანად აქვს შემორჩენილი ზღვდეზე მიღმული ჩრდ-დას. კედლები (სიგრძე - 4,5 მ შემორჩ. სიმაღლე - 85 სმ, სისქე - 40 სმ), რომელთანაც კუთხეს აკეთებს ჩრდ.-აღმ. კედლები (შემორჩ. სიგრძე - 2,7 მ, სიმაღლე - 85 სმ, სისქე - 50 სმ). ჩრდ.-დას. კედლის შუაში ჩატანებულია ბუსარი (ტაბ. XXVI 1), რომლის ზერგს პირდაპირ ზღვდე წარმოადგენს. ამშენებულია აგურით, მიგ თვალურ წიბოიანი დურგის ნატეხიცაა ჩაყოლებული; ძირი ქვემითაა მოგვეული; ზემოდან აღმათ აგური იყო, როგორც № 1 ოთახში, შემდეგ კი მოლესილი იქნებოდა. № 2 ოთახის აღმ. კედლები ყოფილა განვითა და გამოსასვლელი კარი № 3 ოთახში (ტაბ. XXVI, 2). განჯინა ორი კედლის

კუთხებია ჩაღვმული (სიგრძე - 1, 8 მ, სიგანე - 40 სმ); შეღესილია მისგან როგორც ოთახის კედლები. განჯინის დასასრული ჩრდ.-დას. კედლებზე პროფილირებულია, - გამოწეულია კარნიზით, ესეც შეღესილია. № 3 ოთახში გასასვლელი კარის შემორჩენილი სიგანე 95 სი-ა, მუქ ჩარღვეულია . შემორჩენილი სიმაღლე - 35 სმ. შესანიშნავადა შემორჩენილი ზღურბლი - ჩაღაგებულია რიყის ჭები და მოღესილია. იატაკი აგურულინდა, ალავ-ალავ აფური ამოვარდნილია, (ზომები: 21 X 21 X 4 და 22 X 22 X 4,5 სმ).

№ 3 ოთახის, გარდა № 2 ოთახთან საზიარო კედლისა, რომელშიც გასასვლელი კარია, ძალზე დანგრეულ ძღვომარეობაში შემორჩენილი აქვს ზღუდეზე მიღვმული ჩრდ. დას, კედლის ნაშთიც (სიგრძე - 3, 9 მ, სიმაღლე - 0,5 მ, სისქე - 45 სმ). ამ კედლში, კარგბიანი კედლის კუთხესთან ახლოს ჩატანებულია 1,2 მ სიგრძის ხე (შესაძლოა მე-2 ოთახსაც გასდევდა); შეღესილობა პირდაპირ ხეზეა (ტაბ. XXVII,1). ჩრდ.-აღმ. კედლის მხოლოდ ძარის შემორჩენილი მოქლ სიგრძეზე - 3,4 მ, სისქე - 70 სმ, ე.ი. ამ ოთახის 2 კედლი მოლიანად გვაქვს. მაშასადამე, № 3 ოთახის ფართობია: 3,4 მ X 3,9 მ = 13,26 მ<sup>2</sup> ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას. კედლების კუთხეში, ზღუდესთან ჩანს ცეცხლის კვალი, ალბათ, აქაც ბუხარი იყო. იატაკი აგურულინდა (ზომა: 21 X 21 და 22 X 22 სმ). ოთახის წმენდისას ნაყარში ამოვილა მოუჭიერავი კერამიკის რამდენიმე ნატეზი (04-74/1412-1416).

№ 3 ოთახთან ქვემოდან ამოსასვლელი კიბეა. შემორჩენილია დიდი, ნაგლევი ქვების ერთი განიერი საფეხური, რომელიც მოღესილი ყოფილა (სიგრძე - 90 სმ, სიგანე - 60 სმ, სიმაღლე - 25-30 სმ).

გამოიკვეთა № 3 ოთახიდან № 4 ოთახში გასასვლელი კარის ნაშთი (ტაბ. XXVII, 2). მისი შემცველი ჩრდ.-აღმ. კედლით თითქმის ძირამდეა დანგრეული, მაგრამ კარგად შეინიშნება, რომ გასასვლელი ორმხრივად შეღესილი (სიგანე - 88 სმ) .

№ 4 ოთახი წარმოადგენს ზღუდეზე ირიბულად მოჯგმულ სათავსოს, რომელისც სამკუთხედის ფორმა აქვს მიღვმული, რაღაც აქ ზღუდე ტეხილს აკეთებს. ამოსასვლელი კიბის წინ შემორჩენილი სათავსოს აღმ. კედლის სიგრძე - 28, სიმაღლე - 30 სმ, აქ თითქოს ვიწრო შესასვლელია. რომელიც შედის სამკუთხედისებურ სათავსოში, ხოლო აქედან - მარცხნივ - დიდ, № 3 ოთახში (ტაბ. XXVIII).

№ 3 ოთახის პარალელურად № 4 ოთახში რაღაც ნიშისებურია (სიგრძე - 22 სმ, სიგანე - 30 სმ); მის გვერდით ყველაფერი ძალზე დანგრეულია, მაგრამ მაინც ვაირკვა, რომ ყოფილა ბუხარი (ტაბ. XXVIII, 1)<sup>222</sup> და გაფართოებულია. ზღუდესთან ჩანგრეულია (ორმოა), მაგრამ ჩანს, ეს ნაგებობა აქ მთავრდება, რაღაც № 4 ოთახის აღმ. კედლი ირიბად მიემართება და ზღუდეს უკროდება.

შემოთ აღნიშნული ნაგებობა ვეღწევე და რჩეულიშვილმა დაათარიღა XVII ს-ით.<sup>223</sup> ამ ნაგებობას ანაღილიყობი ექვებნება სოფ. ნინოწმინდაში, საბა



ტუსისშვილისეულის სასახლესთან, რომელიც თავის დროზე შეისწავლა და, რჩეულიშვილმა. ნინოწმინდელი გაისკოპის საბა ტუსისშვილის სასახლე, ქთიათორისავე დაწერილი ანდრიძის მიხედვით, აგებულია XVIII ს. II ნახევარში - 1774 -77 წლებში<sup>224</sup>. ისევე, როგორც საბასეულ სასახლეს<sup>225</sup> რესთავის ნაციხევარზე გათხრილ სასახლესაც განათება ერთი ფრთხოებიდან აქვს მოწყობილი (ფი ზღუდებზე მოვიდეს); კედლები გაჯითა შელესილი, რატაკად აგურფენილია, ყველა ოთახს აქვს ბუხარი და სხვ. განსხვავებით აღნიშნული სასახლიდან, ვითქობთ, რესთავისა ერთ-სართულიანი უნდა იყოს, რადგან ნაყარზეა გამართული.

არქეოლოგიური მასალიდან, № 1 ოთახში, ბუხართან აღმოჩნდა დოქი და ჯამის ნატები.

დ ო ქ ი (ტაბ XXXV, 1; № 04-74-771) მოწითალო-მოჭავისფრილაა გამომწვარი, შიგ ნალექა, მირბრტყელი, ყელდაბალი და მრგვალმუცლიანი, ყურიანი. გარედან ზედაპირი წერნაქოთ აქვს დაფარული და გაცვილულია. ანალოგიური დოქები გვხვდება თბილისის დედაციხეზე (ტიპი I) და XVI-XVIII სს. თარიღდება<sup>226</sup>.

ჯამისა პირ-კედლის ნატებია (ტაბ. XXXV, 2, № 04-74-647). გამომწვარია წითლად და გარედან თითქოს შეღებილიცაა. ჯამი ღრმაა, ძირისკენ მოვიწროებული, კალთა გამოყოფილია დაბალი წიბოთი. შიგნილან მოთეთრო ნალექი აქვს. ამგარი ჯამები რესთავში სხვაც არის აღმოჩნდილი<sup>227</sup>. ისინი ანალოგიური მასალებით (თბილისის დედაციხიდან, ტიპი III, ქუკლე II სახ. მოქანდან, მცხეთიდან, თელავიდან, გრეშიდან, დაბანისიდან) ზოგადად XVI-XVIII სს-ით თარიღდება<sup>228</sup>.

აგვარად, რესთავის ნაციხვარზე გათხრილი ნაგებობა, ანალოგიური ნაგებობისა და აღმოჩნდილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ზოგადად XVI-XVIII სს. უნდა დათარიღდეს, მაგრამ თუ გავთვალისწინებთ ისტორიულ ვთარებასაც, შესაძლოა, თარიღი უცრო კონკრეტულად განისაზღვროს.

პ. იოსელიანი გვამცნობს, რომ კახეთის მეფემ ირაკლი I-მა გამაპმადიანების ვამო ნაზარ-ალი ხანად წოდებულია. 1698 წელს სცადა, რესთავი აღვდინა ნანგრევებისაგან. მან თავისთვის აიშენა სასახლე, რომლის გარშემოც დაარსა მთელი კოლონია მაპმადიანებისა. ვახტანგ VI-მ, რჯულისა და უფრო მეტად-პოლიტიკური შეხედულების გამო, დაანგრია ეს სასახლე და მისი კუთვნილი ნაგებობები, რომელთა შორის იყო მეჩეთი<sup>229</sup>. პ. იოსელიანი განავრძობს, რომ ქალაქი ისევ გაუკარისელდა. რესთაველ პისკოპისთა რეზიდენცია, იმავე ტიტულით, გადატანილ იქნა მარტყოფში<sup>230</sup>.

ერეკლე I მიერ რესთავში სასახლის აგებასა და ვახტანგ VI მიერ ამ სასახლის განადგურებას გვამცნობს, აგრეთვე ვახტანგი ბაგრატიონი: „ამ ფამთა ქმნა სასახლე უ-ბ მეფემან ერეკლემ, მერმე შემუსრა უ-დ მეფემან ვახტანგ“<sup>231</sup>. მთელი ეს ზემოთ აღნიშნული ამბები ხდება XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასწყისში.

ცხადია, რუსთავის ნაცისტების გათხრილი ნაგებობის აგებისა და გამოყენების დროც გვინდ შეკა საუკუნეების ამ მონაკვეთს, XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისს უნდა დაკუპავშოროთ. ეს ხანა რუსთავის ნაცისტების ზღვა ფეხია.

საერთოდ, ჩრდ.-დასავლეთ კუთხეშიც რუსთავის ნაციօნალის კარგი სტრატიგრაფიული ჭრილია: ქვემოთ ჩანს თავდაპირეული და შეიძა ზღუდე, ზემოთ კი - გარე ზღუდე და მასზე მიღებული გვიანი შუა სუკუნების ნაგებობა ( ტაბ. XXVIII. 2).

\* \* \*

რუსთავის ციხე დგას გვიანბრინჯაო-აღლურეკინის ზანას გორა-ნამოსახლარზე, რომელიც თავის ღროზე მჭიდროდ ყოფილი დასახლებული იყო. ციხის დასაცული უბანზე კველაზე მნიშვნელოვანად მიგვაჩნია მესამე ზღუდის გამოვლენა-დადგენა, სწორებ ის მესამე ზღუდე წარმოადგენს თავდაპირველ ზღუდეს.

ამგვარად, რესოუზის ცინისათვის თავის დროშე სამი ზღვულე აუგიათ: ერთი - თავდაპირველი, ოთხეუთხა კოშკები (IV-V სს), მეორე - ნახევარწრიული, ყრუ და მცველანი კოშკებით, რომელშიც მოლინად მოექცა თავდაპირველი ზღვულე და ეს ორივე გაერთიანდა ერთ ზღვულედ, რომელსაც აღინი ადგეს (IX ს); მესამე - გარე ზღვულე (XII ს).

საქართველოს ისტორიაში ცნობილია ციხეები, რომელთაც რამდენიმე ზღუდე ჰქონდა. ასეთია ციხეგოვანი (ნოქალაქევი), რომელიც ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის - ჯუანშერის ცნობით „სამჩრდელიანი“ იყო<sup>232</sup>. X ს-ის ცნობით, ორმაგი აღიზის კვდელი შემოუყვებოდა თბილისის ქრის ნაწილს, ისანს<sup>233</sup>, რაც ავგილზე დადასტურდა<sup>234</sup>.

ჩვენს მიერ განხილული აღრუელი შეუა სუკუნების დასასრულის რესთავის შედა ზღუდე გვიჩვენებს სამშენებლო ხელოვნების მაღალ დონეს ამ ხანის საქართველოში.

ნაციხეარის დას. უბანზე მოპოვებული დიდაღლი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა ქრონოლოგიურად და ხშირად, სტრატიგრაფიულადც საკეთით შესაბამისა რესტავრის ციხის სამიერე ზღუდისა.

შემდგომში არქეოლოგიური თხრა კიდევ გაარყევს, მესწორებას შეიტანს ან დააზუსტებს აქ წამოჭრილ საკითხებს.

ეს ყველაფერი ჩაქცეული იყო კოშკის თავზე. ამდენად, ეს კოშკი გარკვეული დროიდან გაუქმდებული ჩანს, მაგრამ ამ აღვილის მუდმივ გამოყენებაზე ძირითადი კოშკის თავზე სხვადასხვა აღვილას და სხვადასხვა სიმაღლეზე აღმოჩენილი თონები (ტაბ. LX, 1).

ამრიგად, სამხრეთის თხრილზე წარმოებული ოხრის შედევრი, გამოვლინდა შიდა გალავანი მრგვალი კოშკი, პილონებითა და ბურჯით.

ციხის სამხრეთ სექტორში, შიდა გალავანი მოიძაროება დასავლეთისკენ, გაივლის მოელ სამხრეთის თხრის და სამხრეთ-აღმოსავლეთი უკანონება კარიბჭეს. სამხრეთის თხრილზე შიდა გალავანის სიურა 32-35 მ-ია. თხრის შედევრი გაირკვა, რომ შიდა გალავანის პერინა მრგვალი კოშკი (მოიცავდა C-4, C-5, B-4, B-5 კვადრატებს) კოშკითან დასავლეთით განლაგებულია ხუთი პილონი:

I პილონი (დარჩენილის სიმაღლე - 83, 53 სმ; სიგანე - 77-78 სმ), მდებარეობს C-5 კვადრატში, კოშკითან დაშორებულია 1 მ-ით

II პილონი (დარჩენილის სიმაღლე - 55, 24 სმ; სიგანე - 78 სმ);

მდებარეობს C-5 კვადრატში, პირველი პილონისაგან დაშორებულია 4მ-ით.

III პილონი, მთლიანად დანგრეულია, შერჩებილია მხოლოდ კონტურები (სიგანე - 80 სმ-ია, მდებარეობს E-5 კვადრატში), მეორე პილონისაგან დაშორებულია 2,50 სმ-ით.

IV პილონი<sup>3</sup> მთლიანად ცუცხლშია ნამყოფი, გადამწვარია, (დარჩენილის სიმაღლე - 30 სმ; სიგანე 50 სმ), მდებარეობს F-6 კვადრატში.

შესამე პილონისაგან დაშორებულია 2,50 სმ-ით.

V პილონი, მდებარეობს G-6 კვადრატში, გალავნის კედლის ზედაპირიდან 60 სმ სიღრმეზე. ზედა ნაწილი მორღვეული აქვს, (დარჩენილის სიგანე 60 სმ-ია), მეოთხე პილონისაგან დაშორებულია 6 მ-ით.

შიდა გალავნის შიდა ნაწილი დაუდევრად არის გამოყვანილი, დაუმუშავებელია ქვითა და რიყის ქვთ. კედელზე შეიმჩნევა ნალესობის კვალი.

გალავნის გარეპირის წყობა ასეთია - აკურის 5-5 მწკრივს შერის მოთავსებულია დიდი ზომის (50 X 60) დამუშავებული ფილები, შემდეგ მოდის სამი რიგი რიყის ქვებისა. შიდა და გარე პირის შერის მანძილი შევსებულია რიყის ქვით<sup>4</sup> გალავნის კედლის წყობა შეერთებულია კირსნარით. კედლის სიგანე 80 სმ პილონები განლაგებულია შიდა გალავნის შეგა შხარეს, ისინი შედგენილია ოთხუთხა (40 X 24), დამუშავებული ქვებისაგან. შეკვეთი შევსებულია რიყის ქვით. პილონები განლაგებულია შეკვეთი ნალესობის კვალი. ამრიგად, შიდა გალავნის საფასადო ნაწილი კოხტად და ლამაზად ყოფილა ამოყვანილი, ხოლო შიგაპირი და პილონები შეღესლი უნდა ყოფილიყო.

სამხრეთის თხრილზე გამოიყო სამი სამშენებლო პერიოდი:

1. გვანველადალური ზანისაა, აღიზის აკურებისაგან შედგენილი ბურჯი,

E-5 კულტურული). ანალოგიური ბურჯი დაცულია ციხის ჩრდილოეთ ნაწილში, იქ, სადაც გვიანდებული ხანის მთელი კომპლექსია (აბანი, სასახლე, ბურჯი, წარმოდგენილი).

2. შუაფეოდალური ხანისაა, აქა-იქ შემორჩენილი რიფის ქვებისაგან შედგენილი კედლის ნაშთები.

3. აღრეფეოდალური ხანისაა, თვით გალავნი.

საფეიქრებელია, რომ აღრეფეოდალურ ხანაში აუქტული გალავნი ბოლო ხანებამდე იცავდა ციხეზე მცხოვრებთ. მაგრამ შეა საუკუნების მთელ მანძილზე მან მრავალჯერ განიცადა ნგრევა და აღდგენა.

სამხრეთ თხრილზე წარმოებული თხრის შედეგად, გამოირკვა, რომ გალავნის მახლობლად ინტენსიური დასახლება იყო, რასაც ასაბუთებს სხვადასხვა დონეზე აღმოჩენილი თონები, იატაკი (კირხსნარიანი) და სხვ. სამხრეთ სექტორში წარმოებული თხრის შედეგად, მთელ განათხარ ფართობზე შეინიშნება ორჯერ მომხდარი ხანძრის კვალი. პირველი ჩანს მიწის ზედაპირისან 20 სმ სიღრმეზე, რიფის ქვების კედლის წყიბაში (რომელიც შემორჩენილი იყო გალავნის კედლის თავზე და სხვა.), მეორე - გალავნის კედლისან 20-30 სმ სიღრმეზე. მესამე ნახტორებაზე ფენა კარგად გმირებულია სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მისი სიმაღლე 20-25 სმ-ია.

მოუხედავად იმისა, რომ აშკარად გამოიკვეთა ორი კატასტროფის ქვალი, ფენებში არსებული მასალა ერთ გარკვეულ ჭრის არ გამოსახავს, ჩანს, როგორც შეა, ასევე აღრეფეოდალური ხანის მასალა.

აღნიშნული ფენები შეესატყისება 1959-65 წლებში რესტავრის ციხეზე დაზიანილ სტრატიგიური ფენების, რის მიხევვთაც, პირველი მიკუთვნება XIII საუკუნეს, ხოლო მეორე - XI საუკუნეს.

რესტავრის ციხეზე, ისევე როგორც ყოველთვის, 1972 წელსაც აღმოჩნდა ძალზე საინტერესო და თავისებური მასალა. უმრავლესობას წარმოადგენს თიხის ჭურჭელი, მცირე რაოდენობით გვხვდება მინის (ჭურჭელისა და სამაჯურის ნატეხები) და ლითონის (უსახო ნატეხები და ლურსმნები) ნაწარმი. აღმოჩნდა ერთი შონეტა (1227 წლისა).

სამხრეთის თხრილზე აღმოჩნდა აღრე და შუაფეოდალური ხანის კერამიკა, ხოლო გვიანდებული ხანისა - ერთადაერთი, ფაიანსის ჭურჭელის ნატეხია.

რესტავრის ციხეზე წარმოებული გათხრების დროს ყოველთვის ჩნდება საინტერესო და თავისებური თიხის ჭურჭელი. ისინი მრვალნაირია და დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. შეკვებით ზოგიერთ მათგანს.

თიხის ჭურჭელი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, აღმოჩნდა 1972 წელს რესტავრის ციხის სამხრეთ სექტორში.

აღნიშნულ კერამიკას შორის ყურადღებას იქცევს ჭურჭლის ერთი დიდი

ნაწილი, რომელთა ზედაპირი დაფარულია ღარებით. ღარებით დატარულია  
მოთვრისე, მოყვითალოე, მოწიალოე, მოვარდისერისე, შევად და რუხად გამოიჩინათ  
სხვადასხვა სახის „წვრილი“ და „მსხვილი“ ჭურჭელი.

თიხის ნაწარმზე შესამჩნევია კოხტად, თანაბრად და დაუდერად გამოყვანილი  
ღარები. ეს გარემობა, შეიძლება, სხვადასხვა მიზეზით აიხსნას, სახელდობრ, რომ  
ისინი სხვადასხვა ღროის ნაწარმია ან სხვადასხვა ხელოსნის დამზადებული,  
ამის დადგენა და ახსნა კი განსაზღვრავს ამა თუ იმ ჭურჭლის ვიწრო  
ქრონოლოგიურ ჩარჩოს, რაც სპეციალურ შრომას მოითხოვს.

ასეთივე ღარებით დაფარული ჭურჭელი (ქოთნები, ქოლები, დერები, ხელადები,  
კოშბები, კათხები და სხვ.) აღმოჩენილია ურბნისში<sup>6</sup>. აქ აღმოჩენილი მასალა  
IV-VIII საუკუნეებით თარიღდება<sup>7</sup>.

ანალოგიური ღარებით დაფარული ჭურჭელი აღმოჩენილია მცხეთის  
აღმოჩენილი ხანის მასალაში<sup>8</sup>, წებელდაში, სოფ. ოლგონისკოეს სამაროვანზე<sup>9</sup>  
აუხაზეთში (აკუტეშინის სამაროვაზე)<sup>10</sup>, ვანში-ციხესულორზე<sup>11</sup>, ბიჭვინთაში,  
ბოსფორის ქალაქებში - მირმეკიაში, ფანაგორიაში, სარკლეში, ილურატში<sup>12</sup> და  
სხვა. ორენ-ყალაში (აზერბაიჯანი)<sup>13</sup>. ანალოგიური ღარებით დაფარული ჭურჭელი  
აღმოჩენილია. აკრთვე, ბოლგარეთის აღრე შეა საუკუნეების თითოეული გველა  
ძეგლზე<sup>14</sup>.

საინტერესო ის გარემობაც, რომ შეა აზის ერთ-ერთ ქალაქ პენჯიკეტში  
(რომელიც არსებობს V საუკ. II ნახურიდან ვიდრე 770 წლამდე) აღმოჩენილია  
ამგვარადე ღარებული ჭურჭელი<sup>15</sup>.

გველა დასახელებულ აღგილებში ასეთი ჭურჭელი არსებობს IV საუკუნიდან  
ვადრე IX საუკუნეებდე. ამდენად, რესთავში აღმოჩენილი ეს ჭურჭელი ჯერჯერობით,  
ზოგადად, IV-IX საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ.

ჭურჭლის ღარებით დაფარებისას ზედაპირი იმკობა სადა და ძალზე მარტივი  
ორნამენტით, სახელდობრ, კლაქნილი ხაზებით, ტალღური (წელისტური) ორნამენტით,  
ჭდებით. წერტილებით და სხვ. მათ შორის გავრცელებული ჩანს ტალღური  
ორნამენტი. ტალღური ორნამენტი გამოყავთ ხან სამწვერა იარაღით, მაგრამ  
როცა ტალღები ან ხაზები ხშირია - სავარცხლისებური იარაღით. ტალღები  
ზოგჯერ ერთმანეთზე მიჯრილი, ზოგჯერ გაშლილია.

სამხრეთის თხრილზე აღმოჩენდა კოქა (№ 686), წითელკეციანი, მისი ზედაპირი  
დაფარულია ღარებით, ზედა ნაწილზე - წვრილი ღარებისაგან შედგენილი ხაზებით  
გამოყვანილია სხივები, მათი შიდა ნაწილი წერტილებითა შევსებულია. ამ ორნა-  
მენტის ამთავრებს პარალელურ ხაზებს შორის გამოყვანილი ტალღური ორნამენტი  
(ტაბ. LXII-1).

ანალოგიური ტალღური ორნამენტით შემცული ჭურჭელი აღმოჩენილია,  
წებელდაში, აუხაზეთში, ბიჭვინთაში, ბოსფორის ქალაქებში, და IV-IX საუკუნეებით  
თარიღდება.

სამხრეთის თხრილზე აღმოჩენილი კოკა, დარებით დაფარული ზედაპირითა და ტალღურ ორნამენტიანი, აღრევეოდალური ხანას უნდა მივაკუთვნოთ. 1874 წლის 13 იანვრის სამხრეთის თხრილზე აღმოჩნდა საინტერესო „მსხვილი“ და „წვრილი“ ჭურჭელი. „მსხვილ“ ჭურჭელს შორის აღსანიშნავია - ქოთნები, ქვაბა-ქოთნები, სარძეები, სადღვებები და სხვ. „წვრილს“ შორის - კათხა, სასმისები, სარქველები, სამარილე და სხვ.

### „მსხვილი“ ჭურჭელი

ყველაზე მრავლად წარმოდგენილია ქოთნები. მათ შორის შეინიშნება მცირე განსხვავება, რაც ქოთნებს სხვა იერს აძლევს და; შესაძლებელია, ცვლის მათ დანიშნულებას. ქოთნებს შორის გამოყავით რამდენიმე ჯგუფი.

I ქოთნები, რომელთაც პირიდანვე გაღმოკვილი ბრტყელგანივეგვთიანი ყურები აქვს.

ქოთანი მოყვითალო თიხისა, ხწორპირიანი, მას მაღალი (2,5 - 3 სმ) და კონტაკად გამოყვანილი ყელი აქვს. ყელის ძირს გარშემოუყვება სამი ღარი. პირიდანვე გაღმოკვილი, ბრტყელგანივეგვთიანი ყური, რომელიც შეუძლებელია და უერთდება მხარს. ზედაპირის გარშემოუყვება ოდნავ შესამჩნევი ღარები.

პირის ღმ დაახლოებით 18 სმ-ია (ტაბ. LXII, 2).

ქოთანი სადაა და აკურატულად არის დამზადებული (№ 7084).

ასეთი ქოთნები საერთოდ დამახასიათებელია რუსთავისათვის, ბევრია და რაც მთავარია, ყველა ერთნაირია, არავითარი განსხვავება არ ჩანს. ყველა ერთნაირი მოყვითალო, თითქოს რბილი თიხისგანაა დამზადებული.

II ქოთნები, რომელთაც მოკლე ბრტყელგანივეგვთიანი ყური მხარზე აქვს შემჯდარი

ისინი მოყვითალო თიხისაა, უფრო გამტკიცებული, მათ ოდნავ გაღმოკვიცილი პირი და დაბალი (ღარისებური) ყელი აქვს, რომელიც შემეტელია ჭდებით, ან კლაკნილი ხაზით. ქოთანს მხარზე შემჯდარი აქვს მოკლე ბრტყელგანივეგვთიანი, აზილელი ყური (7146). ზედაპირი დაფარული წერილი, ოდნავ შესამჩნევი ხაზებით. ასეთი ქოთნები გვხვდება სხვადასხვა ზომისა (დიდი, საშუალო და მცირე) (ტაბ. LXIII, 1).

აღნიშნული ქოთნები აღრევეოდალურ ხანას უნდა მიეკუთვნოს, ვინაიდან მათი ზედაპირი დაფარულია წვრილი ღარებით და ისეთივე მოკლე და მხარზე შემჯდარი ყურები აქვს, როგორც დამახასიათებელია აღრევეოდალური ხანის (ურბნისისა და პენჯინკენტის) ჭურჭლისათვის.

### III ქოთნები.



№ 7117 ქოთანი, მოწითალო თიხისა, სწორპირანი, ყვლევამოკუნილი, გარშემოკუნილი ჭდები, ორ რიგად პირიდან გაღმოკეცილია ბრტყელგანივეთიანი ყური, რომელიც გაღმოკეცის ადგილზე სამკუთხა მოვდანს იკვეთს, შეკულად ეშვება და უკროდება მხარს. ყურს თავზე პაწია შვერილი აზის, ბოლოში კი შეჭყლეტილა. (ტაბ. LXIII, 2).

ასეთი ქოთნები ბევრია აღმოჩნდილი რუსთავის ციხეზე, ისინი მთლიანად შეცოლილია, ისე რომ თიხის ფერი სრულად შეცვლილი აქვს. (შავი). თიხაში შემჩნევა წვრილი კენჭები (ალბათ, სიმტკიცისათვის). საფიქრებელია, რომ ეს ქოთნები მუდმივად ცეცხლზე საღვომად იყო განკუთვნილი.

ანალოგიური ქოთნები აღმოჩნდილია თბილისში, ერეკლე II სახ. მოდანზე, № 16 ორმოში, აქვე აღმოჩნდა ლაშა-გიორგისა და დემეტრე I-ის მონეტები. ორმოს მასალა აღნიშნული მონეტების საფუძვლზე XII-XIII საუკუნეებით თარიღდება<sup>16</sup>.

ამდენად, რუსთავში აღმოჩნდილი III ტიპის ქოთნები XII-XIII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

### ქვაბ-ქოთნები

სამზარეულო ჰურჭლის ერთ-ერთ საინტერესო სახეს წარმოადგენს ქვაბ-ქოთნები. ისინი ცეცხლზე საღვამი ჰურჭელია.

ქვაბ-ქოთნების ფართო პირი და ვიწრო ბაკო აქვთ, მათი მხარი ირიბადაა დაქნებული, რომელიც ჰურჭელს სარტყელივით გარშემორუსებს. შერის ბირზევა გამოყვანილი სამკუთხა, ზეაწეული ყურები. ყურის გასწვრივ ყოველთვის გამოყვანილია წიბი, რომელიც ან საღაა, ან შემკულია ჭდებით. ქვაბ-ქოთნებს ტანი და ბირი მრგვალი აქვთ. ბირითადად ახეობა, მაგრამ ცვლილებას განიკვდან მათი შემაღებელი ელემენტები, კერძოდ - პირი, მხარი და სხვ. რის გამოც ჰურჭელი სხვაგარ იერს იღებს.

სამხრეთის თხრილზე აღმოჩნდილ ქვაბ-ქოთნებს შორის გამოვარჩიეთ სხვა-დასხვა ნიშუშები:

№ 6890. ქვაბი ქოთანი, წითლად გამომწვარი თიხისა, სწორპირანი, ვიწრო ბაკოთი (1 სმ), პირიდან 1 სმ-ის დაცილებით გამოყვანილია სამკუთხა ყური, ჰურჭლის ქვედა ნაწილი წნეხვით არის გაპრიალებული, გარშემოუყვება ღენავ შესამჩნევი ღარები. ჰურჭელი შებოლილია (ტაბ. LXIV, 1).

№ 7211. ქვაბ-ქოთანი, წითლად გამომწვარი თიხისა, სწორპირანი, ოდნავ პირგადმოკეცილი (ქოთნისებურად), პირიდან 3,5 სმ დაშორებით გარშემოუყვება

რელიეფური წიბო, შექული წიწვიანი ორნამენტით. ქვაბ-ქოთნის მხარეც შემკულია წიწვიებული ორნამენტით, რომელიც შედგნილია წერტილებისა და ჰელიკისას  
(ტაბ. LXIV, 2).

№ 6930. ქვაბ-ქოთანი, მოვარდისფრო თიხისა, სწორპირიანი, ვიწრო ბაკოთი, (1 სმ), პირიდან 4 სმ-ის ქვევით გარშემოუყვება წიბო, ხოლო მხარი (მანძილი პირისა და წიბოს შორის) შევსებულია წერტილებისაგან შედგნილი ირიბი ხაზებით. (ტაბ. LXIV, 3).

№ 7363, ქვაბ-ქოთანი, წითლად გამომწვარი თიხისა, სწორპირიანი, ვიწრო ბაკოთი (13 სმ), შერჩებილია სამკუთხა ყური, შეაში მრგვალია ამოჭრილი. ანალოგიური ქვაბ-ქოთნები აღმოჩენილია ორენ-ყალაში, XII-XIII საუკუნეებით თარიღდება<sup>17</sup> (ტაბ. LXV, 1).

№ 7262. ქოთანი, მოწითალო თიხისა, სწორპირიანი, მაღალყველიანი, ყელს მირზე გარშემოუყვება დაუდევრად გამოყვანილი ჰელიკი. ქოთანს მხარზე შერჩენას პაწია, ზეაწეული, ცრუ ჭური. მის ძირს გარშემოუყვება ტალღური, წყლისებური ორნამენტი. ზედაპირი დაფარულია წერტილი ღარებით. ჭურჭელი შებოლილა. ყველა ის, რაც აღნიშნულ ქოთანის აქვს, სახელდობრ, ღარები, ჰელიკი და წყლისებური ორნამენტი (ტაბ. LXV, 2). ცრუ ჭურჭელის მეტყველებს, რომ იგი აღრევეობალური ხანისაა.

№ 7265. ქოთანი პაწია, არათმაბრად გამომწვარი (მოყვითალო მონაცრისფროდ), სწორპირიანი, მრგვალი. მხარზე შებმული აქვს ზეაწეული, პაწია, სამკუთხა ყური; მის გასწვრივ ქოთანს გარშემოუყვება ჰელიკი; პირის ქ დახახლოებით - 8 სმ (ტაბ. LXV, 3).

ქოთანი უხეშია, თითქვას ხელით არის გამოძრეწილი, მისი ზედაპირი დაფარულია წერტილი ღარებით და, აგრეთვე, წერტილი გამოყვანილი, პრიალა ხაზებით.

აღნიშნულ ქოთანს ბევრი განსხვავებული ნიშანი აქვს ზევით ჩამოთვლილთაგან, მაგრამ ქვაბ-ქოთნებისათვის დამახასიათებელმა ზეაწეულმა, სამკუთხა ყურმა და მის გასწვრივ ჰელიკისათვის მოყვაცა, იგი ქვაბ-ქოთნების რიგში ჩაგვეუქნებინა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჭურჭელი დაფარულია ღარებითა და პრიალა ხაზებით, ეს პაწია ქოთანიც აღრევეობალურ ხანას უნდა მივაკუთხოოთ და ჩავთვალოთ, რომ იგი ყველა ზევით ჩამოთვლილის წინამორბედია.

აღნიშნავენ, რომ ჭურჭლის ღარებით დაფარუება და მისივე გაპრიალება ძალზე იშვიათია<sup>18</sup>.

ამ შემთხვევაში № 7265 ქოთანი გამონაკლისა. ორივე ზერზია წარმოდგენილი.

საბზრეთის თხრილზე აღმოჩენილი ქვაბ-ქოთნების აღწერილი ნიშუბები, ყველა, სხევადასხვა თიხისაგანაა ღამზაღებული. გვხვდება საღა, ორნამენტის გარეშე, არის ორნამენტით დატვირთულიც. მაგრამ ორნამენტი მკაცრი და ოანაბარია-მოხსედავად მათი-განსხვავებისა, ქვა-ქოთნებს ფართო პირი, მკვეთრად გამოყვანილი

მხარი და ზეაწეული სამკუთხა ყურები აქვს. ჩანს, ქვაბ-ქოთნები ჭურჭლის  
გაერცელებული სახეა აღრე და შუალეოდალურ ხანაში.

მართვადი  
გეგმის მიზანი

## ს ა რ ძ ე ვ ე

და სერია მიზანი

სარმევე ქვაბ-ქოთნის ფორმისაა, სადაც მხარი მკვეთრად არ არის გამოყოფილი,  
იგი მრგვალია ფართოპირიანი, შერჩენილი აქვს ზეაწეული, პარია მიღი, მის  
გასწვრივ ჭურჭლია გამოყენილი. ასეთ ჭურჭლის სარმევის უწოდებენ. სამხრეთის  
თხრილზე სულ რამდენიმეა აღმოჩნდილი (№ 6839, 7088).

ანალოგიური აღმოჩნდილია დეინში, სადაც ისინი VII-VIII საუკუნეებით  
თარიღდება<sup>19</sup>. ასევე უნდა დავათარიღოთ რესთავში აღმოჩნდილი სარმევები.  
(ტაბ. LXVI, 1).

## კ ა თ ხ ა

№ 7243. კათხა, წითლად გამომწვარი თიხისა, მრგვალმუცლიანი, ყელისაკენ  
ოდნავ შევიწროებული და პირგადმოკეცილი (ყელთან თითქოს ფართი სარტყელი  
აქვს მოჭრილი), ყლის ბოლოს, მხარზე, გამოყანილია მოკლე ბრტყელგანიველიანი  
ყური. ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია ოდნავ შესამჩნევი წვრილი ხაზებით  
(ტაბ. LXVI, 2).

რესთავში აღმოჩნდილი კათხის ზედაპირზე გამოსახული ოდნავ შესამჩნევი  
დარები ადრეფერდალური ხანის ჭურჭლისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი  
ნაშანია. გარდა ამისა, ურბისში აღმოჩნდილ თითქმის ყველა ჭურჭლას მოკლე  
(ბრტყელი ან მრგვალგანიველიანი) ყურები, გამოყანილია აქვს (შესმელი)  
ტანის შეა აღიღიას (ან მხარზე). ანალოგიური ყურებით არის შეშეული  
ჰენკიენტის თიხის ჭურჭლი, მათ ბ. მარშაკი VII-VIII საუკუნეებს მიაკუთვნებს<sup>20</sup>.

როგორც ბ. მარშაკი აღნიშნავს, VI საუკუნიდან იყვლება ჭურჭლითა ფორმები,  
კრცელდება კათხები მრგვალმუცლიანი და დაბლა გამოყანილი მოკლე ყურებით<sup>21</sup>  
თუ ყველივეს გვითვალისწინებთ, მაშინ რესთავში აღმოჩნდილი კათხა VI-VII  
საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ.

## ს ა ს მ ი ს ი

№ 7227. სამინისი, შავად გამომწვარი თიხისა, დაბალი, ბრტყელმირანი  
(ტაფისებური), სწორპირიანი, პირიდანვე გაღმოკეცილია ბრტყელგანიველიანი,  
ზეაწეული ყური, როგორიც მის ურთიდება. ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია  
ოდნავ შესამჩნევი, წვრილი ხაზებით (ტაბ. XVI, 3).

ანალოგიური ფორმის ჭურჭელი აღმოჩენილია ურბნისში, ისინი შევი (833), მოვარდისფერი (2186) და მოყვითალო თიხისაა. თარიღდება IV-VIII საუკუნეებით<sup>22</sup>.

რუსთავის ციხეზე აღმოჩენილი სასმისიც IV-VIII საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ.

№ 6842. სასმისი, მოწითალო თიხისა, სწორპირიანი, ოდნავ პირგამოკუცლი, სწორგვერდიანი. გრძელი მილისებური სახელურით (სიგრძე - 5,5 სმ) (ტაბ. LXVI, 4). აღნიშნული ჭურჭელი აღრევეოდალურ ხანაში ჩანს გავრცელებული.

№ 6778. ჭურჭელი მოღნისკრტიანი, მოწითალო თიხისა. მილი კონუსური ფორმისაა (სიგრძე - 9,5 სმ, პირის დო - 2 სმ). აღნიშნული ჭურჭლები შეაფეხდალური ხანისაა.

## ს ა რ ქ ვ ლ ე ბ ი

რუსთავში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. მათში გამოიყოფა ორგვარი სახის სარქველი: I. გუმბათისებრი - ე.ი. მრგვალი ფორმისა, რომელსაც ბრტყელი კიდე და შეა ნაწილი გუმბათისებურად აქვთ აზიდული ისინი მოწითალო, მოყვითალო და მოვარდისფერი თიხისა, ზოგჯერ კიდე შექველია თანაბარი დარებით, ზოგჯერ საღა.

2. ბრტყელი სარქველები, მათი ზედაპირი დაფარულია რელიეფური დარებით, ზოგჯერ კიდე დაკეტილია, ზოგჯერ საღა. ზოგი სარქველი დაფარულია მოყვითალო ანგობით.

სარქველები დიდი რაოდენობით აღმოჩენილია ორენ-ყალაში. გუმბათისებური თარიღდება IX-X საუკუნეებით, ბრტყელება XI-XIII საუკუნეებით.

ისე რომ, რუსთავის ციხეზე აღმოჩენილი სარქველების ნაწილი IX-X, ნაწილი კი XI-XIII საუკუნეებისაა.

## ს ა მ ა რ ი ლ ე

მოყვითალო თიხისა, საშუალო ზომისა, ბრტყელმირიანი, იფი მსგავსი IX-X საუკუნეებში გარეცელებული მოჭიქული სამარილებისა.

## მოთეთრო თიხის ჭურჭელი

რუსთავის ციხის სამხრეთის თხრითზე აღმოჩენილი კრთი ჯგუფი თიხის ჭურჭლისა, ყველა თითქოს მოთეთროა, მაგრამ სხვადასხვა ელფერი დაპკრავთ, მაგალითად, მოყვითალო, ჩალისფერი, მოთეთრო (რძისფერი), მომწვანო და სხვ. მიუხედავად ამისა, იყრძოს, რომ სელოსანს სურვილი პბქონდა თეთრი ჭურჭელი დამზადებინა,

ამიტომაც მათ პირობის მოთეთრო თიხის ჭურჭელს უკავშირდებთ.

მოთეთრო თიხის ჭურჭელი სხვა თიხის ჭურჭელთან შედარებით თხელკედლიანებია, მაგრამ მათშიც გამოიყოფა ძალიან თხელკედლიანები, ხაშუალი და სქელი. მათი თიხა სუფთად განლექილია. მოთეთრო თიხის ჭურჭლის უმრავლესობა მცირე ზომის, მინატურული ჭურჭლებია (დმ - 3,3 - 5 სმ), იშვიათია დიდი ზომის (დმ - 5,5 - 5 სმ) სქელკედლიანები.

მოთეთრო თიხის ჭურჭელში გამოიყო:

- I. 1. მოთეთრო თიხის ჭურჭელი შემკული წყლისებური ორნამენტით.  
2. მოთეთრო თიხის ჭურჭელი, ზედაპირგაპრისალებული და კოპებიანი.  
3. მოთეთრო თიხის ჭურჭელი, შემკული კოპებით.  
4. მოთეთრო თიხის ჭურჭელი, შემკული კანელურებით.

II. თხელკედლიანი ჭურჭელი (მოიგორი, მოყვითალო, მოვარდისფერი, მოწითალო თიხისა), მათი ზედაპირი დაფარულია კარგი ხარისხის თეთრი (მოყვითალო) ანგობით, რის გამოც ეს ჭურჭელი უფრო თხელკედლიანი, მჩატე და მოთეთრო ჩანს.

1. თეთრი ანგობით დაფარული და გაპრიდიალებული
2. თეთრი ანგობით დაფარული და მოხატული.

განვიხილოთ ყველი მათგანი.

სასწრეთის თხრილზე აღმოჩნდა მოთეთრო თიხის ნატეხები, დაფარული წერილი დარებით და შემკული წყლისებური (ტალღური) ორნამენტით. ამ შემთხვევაში ტალღები გამოიყანილია მკრთალად. ისინი ერთმანეთზე მჭიდროდაა მოჯრილი და, მართლაც, წყლის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ანალოგიური მოთეთრო თიხის ჭურჭელი, ასეთივე წყლისებური ორნამენტით, აღმოჩნდა ურბინიში და IV-VI საუკუნეებით არას დათარიღებული<sup>23</sup>. ასეთივე ჭურჭელი აღმოჩნდა ლოჭინში, IV-VI საუკუნეების კომპლექსში (რ. აბარიშიშვილი, ლ. ჭილაშვილი). ლ. ჭილაშვილის აზრით, თიხის ასეთი ნაწარმი უმთავრესად V-VI საუკუნეებში უნდა იყოს გაკრცხულებული<sup>24</sup>.

წყლისებური ორნამენტი შემკული, წთელ ლაკიანი ლანგარი ბიჭვინთაში აღმოჩნდა, რომელიც IV-VI საუკუნეებით თარიღდება<sup>25</sup>. ასეთივე ორნამენტით შემკული ჭურჭელი აღმოჩნდა წებჯლაში, ოლგინსკეოს სამაროვანზე და IV-V საუკუნეებით თარიღდება<sup>26</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ბიჭვინთაში აღმოჩნდა საღა, მოწითალო თიხის, სქელკედლიანი ჭურჭელი შემკული წყლისებური ორნამენტით, საღაც მისი არსებობის დრო, აღმათ, IV-VI საუკუნეებით შემოიფარგლება. ციხესილორზე (კანი) აღმოჩნდა ქვერის ნატეხები, მათი ბაკო შემკულია მკრთალად გამოიყანილი, წყლისებური ორნამენტით.

როგორც ჩანს, მოთეთრო თუ მოწითალო თიხის ჭურჭელი, შემკული წყლისებური ორნამენტით, IV-VI საუკუნეებში არსებობს. ამდენად, რუსთავში აღმოჩნდილი

მოთეთრო თიხის ჭურჭლის ნატეხები, შემკული წყლისებური ორნამენტით, IV-VI საუკუნეებს უნდა მივაკუთნოთ.

გერმანიული  
გერმანიული

## მოთეთრო თიხის ჭურჭელი, რომელთა ზედაპირი გაპრიალებულია

სამხრეთის თხრილზე აღმოჩნდა მოთეთრო თიხის ჭურჭლის ნატეხები (№ 7161, 6760, 7093 და ა. შ.). სუფთად განლექილი თიხისა. ზოგი შედარებით სქელკვდლიანია (№ 7161), ზოგი - თხელკვდლიანი (7093). მათი ზედაპირი რაღაც რარალით გაუპრიალებიათ. პრიალა ხაზები ჭურჭელს ვერტიკალურად ჩაუყვება. გაპრიალების შედეგად შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჭურჭელი უფრო თხელკვდიანია, ვიღრე ნამდვილად არის. ე. წელოსნები ყველა ხერხს მიმართავენ, რომ ნატიფი ჭურჭელი დამზადონ (ან ამის შთაბეჭდილება მანც მოახდინონ).

ანალოგიური ზედაპირებაპრიალებული, მოთეთრო თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა ურბნისში. მათ შესახებ მ. სინაურიძე აღნიშნავს, რომ გაპრიალებული გვხვდება გვანანტიკურიდან ფერდალურ ხანაზე გარდამავალ პერიოდში, IV-VI საუკუნეებში<sup>27</sup> და არსებობს VIII საუკუნეში<sup>28</sup>. რესთავში აღმოჩნდილი მოთეთრო თიხის ზედაპირებაპრიალებული ჭურჭელიც IV-VIII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოთ.

## მოთეთრო თიხის ჭურჭელი, რომელთა ზედაპირი გაპრიალებულია და შემკულია კოპებით

აღნიშნული ჭურჭლის უმრავლესობა თხელკვდლიანია, ისინი პაწა კოჭბები თუ სასმისებია. მათ სწორი პირი, კოსტად გამოყანილი ყელი, მრგვალი ტანი (ზოგჯერ-ოდნავ ქავებით დაწეული) და ბრტყელი ძირი აქვთ (პირის დმ - 3 სმ, სიმაღლე 8 სმ, დმ - 5,3 სმ). მათი ზედაპირი გაპრიალებულია (ზოგის შიდაპირი დაფარულია წვრილი ხაზებით). შემკულია პაწა (შიგნიდან გამოყანილი) შეკრილებით (კოპებით), რომელიც ზედაპირზე რბილად ჩნდება და ჭურჭლის ორგანულ ნაწილად გვევლინება (№ 6760, 7093 და ა.შ.).

მოთეთრო თიხის ჭურჭელი შემკული კოპებით. აღმოჩნდა ურბნისში (I ს), მცხეთის სამაროვანზე (I-III სს.), ნასტაკისში (II-III სს და III - IV სს). როგორც ჩანს კოპებინი ჭურჭელი, მოთეთრო თიხისა, ვრცელდება I-IV საუკუნეებში და მეტწილად გვხვდება სამარხებში.

რესთავში აღმოჩნდილი კოპებიანი ჭურჭელი უფრო თხელკვდლიანი და მინდატურულია, ზედაპირი ისეთი ხშირი კოპებით არ არის დაფარული. გარდა ამისა, მათ ემატება ერთი ახალი ნიშანი - ზედაპირის გაპრიალება. თუ

გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ზედაპირგაპრიალებული ჭურჭლები არ-სებობს IV-VIII საუკუნეებში<sup>29</sup>, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ გაპრიალებაცა - და კოპებით (შიგნიდან გამოყვაილი) - ჭურჭლის შემკობაც - ეს ორივე ზერხის ერთობლივად არსებობდა აღრეფეოდალურ ხანაში (მათი საწყისები I საუკუნეში ჩანს).

ამგარად, რუსთავში აღმოჩენილი მოთეთრო თიხის ჭურჭელი, გაპრიალებული ზედაპირითა და კოპებით შექმული, IV-VIII საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ.

სამხრეთის თხრილზე აღმოჩნდა მოთეთრო თიხის ჭურჭლის ნატეხები (№ 7464, 6997, 7253, 7216, 7306 და ა.შ.). ზედაპირი დაფარულია წვრილი დარგით.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჭურჭლის ღარებით დაფარვა დამახასიათებელი ჩანს აღრეფეოდალური ხანისათვის, ამდენად, რუსთავში აღმოჩენილი მოთეთრო თიხის ჭურჭელი დაფარული დარგით, აღრეფეოდალური ხანის ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ.

### მოთეთრო თიხის ჭურჭელი შემკული კანელურებით

რუსთავის სამხრეთის თხრილზე აღმოჩნდა მოყვითალო თიხის, დიდი ზომის, კანელურებიანი ჭურჭელი (№ 7298).

ანალოგიური აღმოჩენილია გუდარებში, საღაც იგი XIII საუკუნით თარიღდება<sup>30</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთის თხრილზე აღმოჩნდა მცირე ზომის, თხელკედლიანი ჭურჭელი კოჭობანა (№ 7327) და სასმისი (6737), კანელურებით შემკული.

საფიქრებელია, რომ აღნიშნული ჭურჭელი, დიდი ზომის, კანელურებიანი ჭურჭლის (№ 7298) წინამორბედია.

თხელკედლიანი ჭურჭელზე რელიეფური ორნამეტტით (კოპებისა და კანელურების) მიღების ერთი და იგივე ხერხი - მათი შიგნიდან გამოყვანა, შესაძლებელია ერთობლივად არსებობდა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ხელოსანი აღნიშნული ორნამეტტით მკობს ერთი და იმავე ტიპის მცირე ზომის, თხელკედლიან ჭურჭლებს, რომელთა უმრავლესობა შეადგება აღრეფეოდალურ ხანაში, საფიქრებელია, რომ მცირე ზომის, თხელკედლიანი ჭურჭელი, შემცული კანელურებით, კოპებიანების თანადოროული იყოს.

ამდენად, რუსთავის სამხრეთის თხრილზე აღმოჩენილი კანელურებიანი ჭურჭელი, საფიქრებელია, არსებობს აღრეფეოდალური ხანიდან, ვიდრე XIII საუკუნემდე.

II სამხრეთის თხრილზე აღმოჩენილ, მოთეთრო თიხის ჭურჭელს შორის გამოყვაით ერთი ჯგუფი, საღაც გაერთიანებულია პაწა ზომის, მოყვითალო, მოწითალო, მოვარდისფრო, სუფთად განლექილი თიხის ჭურჭლები. ისინი ძალზე თხელკედლიანია (უმეტესობა). მათი ზედაპირი დაფარულია კარგი ხარისხის,

თხელი, მოთეთრო-მოყვითალო ანგობით. სწორი შთაბუჭდილება იქმნება, რომ აღნიშნული ჭურჭელი მოთეთრო თიხისაგანაა დამზადებული. ხელოსანი მაღალი თხტატობით ერთმანეთს მიუსადავგაბს ძალზე თხელ ქცესა და ანგობს, სადაც ანგობისა და კეცის ერთმანეთისაგან გამოყოფა შეუძლებელი ხდება.

ე. გარეკაულ ეტაპზე ხელოსანი ქმნის მოთეთრო, თხელკედლიანი, პატია ჭურჭლის მხგავს კერამიკას. მაგრამ აյ ჩნდება ზოგიერთი ახალი კლემინტიც, კერძოდ ჭურჭლის ზედაპირის ფერადი საღებავებითა და ანგობით მოხატვა. ამავე დროს არსებობს გაპრიალებაც, რაც ასე დაძანასიათებელია მოთეთრო ჭურჭლისაუკის. საფიქრებელია, რომ ეს განსხვავება დროს უნდა მოუტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელოსანი მინაბაძებს არ დამზადებდა.

აღნიშნავის, რომ ჭურჭლის ანგობით დაფარვა და მათი მოხატვა აღრუელდალური ხანის ბოლო ეტაპზე ჩნდება (შ. სინაურიძე). ჩვენი აზრით, ეს მართებულია და თუ რუსთავის სამხრეთის თხრილზე აღმოჩენილი მოთეთრო თიხის კერამიკა, რომელიც გაერთიანებულია მეორე ჯგუფში, აღრუელდალური ხანის ბოლო პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ. ის აღბათ წინამორბედია შუაფეოდალურ ხანაში არსებულ ფერადი (წოთველი, შავი) საღებავით მოხატული ჭურჭლისა.

აღრუელდალური ხანის უამრავ, კარგი ხარისხის კერამიკას შორის, ნატიფი ჭურჭელი მცირე რაოდენობით გვხვდება, მათ რაცხვს მიეცავთ გვერდის მოთეთრო თიხის ჭურჭელი, გაპრიალებულ ზღვაპირიანი, შექული კოპებით, კანელურებითა და სხვ. თუ აღრე პერიოდში არსებობდა შედარებით დიდი რაოდენობის კარგი ხარისხის, ნატიფი (წოთველ ლაკირი და სხვ) ჭურჭელი, ამჟღაფად, აღრუელდალურ ხანაში ეს არ არის.

საფიქრებელია, აღრე ფეოდალური ხანის საჩოგადოების სურვილმა (პერიოდა ნატიფი ჭურჭელი) განაპირობა მოთეთრო თიხის ჭურჭლის არსებობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ჭურჭელიც თანდათანობით იცვლის სახეს და, შესაძლებელია, მათ IX საუკუნიდან მოჰიქული ჭურჭელი სცვლის.

## მ ო ჭ ი ქ უ ლ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი

ციხის სამხრეთის თხრილზე აღმოჩნდა რუსთავისათვის დამახასიათებელი მაღალხარისხისხვით ნაწარმი. გამოიყ IX-X, XI-XII, XII-XIII საუკუნეების მოჰიქული ჭურჭელი. მათ შორის უმრავლესობას წარმოადგენს ჯამები, მცირედაა „მსხვილი“ და „წვრილი“ ჭურჭელი. მათი უმრავლესობა ადგილობრივი ნაწარმა. აღსანიშნავია ორი ჯამის ნატეხი, ნაღვენობით შექული, IX-XI საუკუნეებისა. ისინი არ ემსგავსება რუსთავის ამავე ხანის ჯამებს, მათ უცხოური იქნია აქვთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ციხის პირველ უბაზე წარმოებული თხრის დროს ამოდიოდა აუკრება, თოთქმის მოელი მოჰიქული ჭურჭელი, რაც სამხრეთის თხრილზე

